პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 1 აგვისტო № 177 (17522) ფასი 2 კაპ.


## ახალშენელმა მეჩაიეებმა შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა



ხელვაჩაური, (საქინფორმის კორ.). რაიონში უდიდესმა სოფელ ახალშენის კოლმეურნეობამ შეასრულა ჩაის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა.

— სამ წელიწად-ნახევარში, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. დუმბაძემ, — ჩვენმა მეჩაიეებმა დაამზადეს 7.818 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.807 ტონისა. 2.200 კოლმეურნიდან, რომლებიც ჩაის კრეფაში მონაწილეობენ, 1000 დღის ნორმებს 140-150 პროცენტით ასრულებს, ხოლო უხვი მოსავლის ისეთი ოსტატები, როგორიც არიან გ. შარაძე, მ. სურმანიძე, ხ. ჩხეიძე და ბევრი სხვა, ყოველდღე ნორმაზე 2-2,5-ჯერ მეტ ჩაის კრეფენ.

შრომითი მეტოქეობის მიმდინარეობაში პირველობა მოიპოვა მეჩაიეთა ბრიგადამ, რომელსაც ნ. დიასამიძე ხელმძღვანელობს. მან უკვე მეთერმეტე ხუთწლედის ანგარიშში ჩაბარა 30 ტონა ხარისხოვანი ნედლეული. წინ კიდევ ჩაის კრეფის ორი თვეა. მოწინავე მეურნეობის კოლმეურნეებს განზრახული აქვთ ხუთწლედის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით მოკრიფონ კიდევ 2.900 ტონა ჩაის ფოთოლი.

საკავშირო ცნობა

## „მოლნია-1“

1979 წლის 31 ივლისს საბჭოთა კავშირში ვაფშილის კავშირგაბმულობის ორბიტაზე ეკრანიზებული „მოლნია-1“, რომელიც გათვალისწინებულია „ორბიტის“ ქსელის ტელევიზიის ეროვნული ტელევიზიის სისტემის ექსპლოატაციის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამები გადასცეს „ორბიტის“ ქსელის პუნქტებში, რომლებიც მდებარეობენ უკიდურესი ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის რაიონებში.

თანამგზავრზე ტელევიზიის პროგრამების გადასაცემი და შორეული მრავალარხიანი რადიოკავშირის განმახორციელებელი აპარატურის გარდა, დადგმულია საკომანდო-საზომი კომპლექსის აპარატურა, აგრეთვე თანამგზავრის ორიენტაციის, ორბიტის კორექციისა და ენერგოცვების სისტემები.

მიღებული მონაცემების თანახმად, აპარატურა ნორმალურად მუშაობს, კავშირის სეანსები „მოლნია-1“ თანამგზავრის საშუალებით მოეწყობა დასახული პროგრამის შესაბამისად.

## განახლდა ხელშეკრულება

კიევის კინოფაბრიკა „ვუფკუმ“ და საქართველოს „სახკინმრეწმა“ ორმოცდაათი წლის წინათ დადეს ხელშეკრულება შემოქმედებითი სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელი ხელშეკრულება განკუთვნილი იყო მხოლოდ ერთი, 1930 წლისათვის, უკრაინელ და ქართველ კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი მეგობრობა მუდმივი გახდა. ა. დოვჟენკო ქართული კინოს დიდი მეგობარი იყო. ბევრი ჩვენი, ახლა უკვე ცნობილი რეჟისორის დიპლომებს მისი ხელმოწერა ამშვენებს. მრავალი წლის განმავლობაში იღებდა ფილმებს უკრაინაში ჩვენი თანამემამულე ი. კავალერიძე. უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობას ეძღვნება სიკო დოლიძის ფილმი „სემირამიდას ბალღები“. კიევის სტუდიის ბევრ ფილმში მონაწილეობდნენ ქართველი მსახიობები. მალე ეკრანებზე გამოვა ო. კობერიძის ფილმი, რომელიც ეძღვნება ფაშისტ დამპყრობთაგან უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში საქართველოს მკვიდრთა მონაწილეობას.

ჩვენი ქვეყნის ორ წამყვან კინოსტუდიას შორის — კიევის ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიასა და „ქართულ ფილმს“ შორის დადებული ახალი ხელშეკრულება ითვალისწინებს თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას, ერთობლივი ფილმების შექმნას, მუშაობის გამოცდილების გაზიარებას. (საქინფორმი).

## მეგობრობის კომკავშირული პროგრამა

ალმა-ათა, 30 ივლისი. (საქდესი). კონკრეტულ საქმეებში ისახამს ხორცს სრულიად საკავშირო ალკკ და ხო-ში მინის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის თანამშრომლობის პერსპექტიული პროგრამა. ეს დადასტურდა საბჭოთა და ვიეტნამის ახალგაზრდობის მეგობრობისა და სოლიდარობის IV შეხვედრის სემინარის პლენარულ სხდომაზე, რომელიც დღეს დამთავრდა ალმა-ათაში.

# მეცხოველეობას — ჩვენი გულისყური!

ხუთწლედი. შეჯიბრება

## ხორცისა და რძის ინდუსტრიის მუშაებლოგები

ეკანასკნელ წლებში ჩვენი მეცხოველეობა ახალ, უფრო მაღალ მიჯნებზე გავიდა.

ახლა ჩვენ შარშანდელსა და შარშანწინდელზე მეტი გვყავს ძროხაც, ცხვარიც, ღორიც. ამას კი მხოლოდ იმის წყალობით მივაღწიეთ, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები თანმიმდევრულად ახორციელებენ მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მიერ დასახულ უაღრესად ცხოველმყოფელ და რეალურ ღონისძიებებს, დღითიდღე ხორცს ისხამს დევიზი — საქართველო შეიძლება გადაიქცეს და კიდევაც უნდა გადაიქცეს მოწინავე მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად.

მიუხედავად იმისა, რომ გაწეულია დიდი მუშაობა, რესპუბლიკის მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ამოცანები უფრო მასშტაბური და უფრო პასუხსაგებია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჩამორჩენის დაძლევას, რომელიც ჩვენი სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორს აქვს მეცხოველეობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პროდუქტების დამზადების საქმეში.

საქართველოს მეცხოველეობა გადაწყვეტილებაა გაორკეცონ ხორცის წარმოების ტემპი და წლეულს დაამზადონ 144,5 ათასი ტონა, რძე — 268,5 ათასი ტონა და კვერცხი — 456 მილიონი ცალი.

ამ მიჯნების დასაძლევად დასახულ ღონისძიებათა კომპლექსში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეზერვების, განსაკუთრებით კი საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალურ გამოყენებასა და ფონდუკუგების ზრდას. ამ მხრივ გამოუყენებელი შესაძლებლობებია მეცხოველეობის, როგორც მოქმედ, ისე მშენებარე კომპლექსებში, ფერმებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებში.

როგორც სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის გადაყვანაში, ისე საწარმოო სიმძლავრეთა რაც შეიძლება მალე ამოქმედების საქმეში ფერმის მუშაკებისთვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მშენებლებს, თუ ისინი საექსპლოატაციოდ დროულად და ვადაზე ადრე გადასცემენ მშენებარე ობიექტებს. ამით დაჩქარდება აგრეთვე მზა პროდუქციის გამოშვებით კაპიტალდაბანდებათა ამოგება.

ამას რომ მიაღწევენ სამშენებლო ორგანიზაციებმა ახალმოქმედებელ ობიექტებზე დამატებით ძალებსა და საშუალებებს უნდა მოუყარონ თავი, ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ სამშენებლო კონვეიერი დიდმწარმოებლურად და რიტმულად მუშაობდეს.

ეს ამოცანა იოლი როდია, ვინაიდან უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კაპიტალდაბანდებანი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ძირითადად მეცხოველეობის განვითარებას, მისთვის თანამედროვე კომპლექსების მშენებლობას ხმარდება. 1979-1980 წლებში მეცხოველეობის კომპლექსებისა და ფერმების მშენებლობისათვის 180 მილიონ მანეთზე მეტი დაბანდდება; მარტო წლეულს 6 თვეში საექსპლოატაციოდ გადაეცა პირუტყვის სადგომები ათასობით სულისათვის, ათობით სასენაჟე და სასილოსე ნაგებობა, ცხოველის დაავადებებთან ბრძოლის 3 სადგური, ვეტპუნქტები და სხვ.

ამ ობიექტების დროული ამოქმედება და საჭიარო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესება იმის ნაყოფია, რომ ბოლო ხანს ამაღლდა მშენებელთა ოსტატობა, შეივსო მათი რიგები და განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მშენებელთა მოწინავე კოლექტივები წარმოებაში ნერგავენ საჭიარო სამუშაოთა ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის სხვადასხვა მეთოდს. სამშენებლო სამუშაოთა ვადების შემცირებასა და ხარისხის ამაღლებაზე კეთილსინდისიერად იმოქმედა აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამინისტროში ერთიანი დამკვეთის სამსახურის ჩამოყალიბებამ, რის შედეგადაც წლეულს უფრო შეთანხმებულად, ორგანიზებულად მუშაობენ საჭარო, ქვესაჭარო, დამკვეთი და საპროექტო ორგანიზაციები, მაგრამ მათი საქმიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება დროის მოთხოვნას. ამიტომ ზოგჯერ მშენებლობის შეფერხების მიზეზი ისიც არის, რომ „საქსოფლმშენსახპროექტი“ დროზე არ აგზავნის ტექნიკურ დოკუმენტაციას, სოფლის მეურნეობის სამინისტრო აპაანურებს დაფინანსების გახსნას, მშენებლები კი საჭიარო სამუშაოების გეგმას ვერ ასრულებენ.

პირდაპირ უნდა ითქვას: იმის გამო, რომ მშენებლებმა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ შეძლეს შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება, წარმოების კულტურისა და მანქანა-მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლება, ბევრ მნიშვნელოვან ობიექტზე საჭიარო სამუშაოთა გეგმები სანახევროდაც არ არის რეალიზებული. მაგალითად, ბოგდანოვკის, ლაგოდეხისა და ვანის რაიონებში რძის წარმოების კომპლექსების მშენებლობაზე სასოფლო მშენებლობის სამინისტრო და „საქკოლმეურნმშენი“ საჭიარო სამუშაოების გეგმებს ვერ ასრულებენ. განვლილ 6 თვეში არ ჩაბარდა ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის აბაშის და ზნაურის რაიონების რძის წარმოების და ცხინვალის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასასუქებელი კომპლექსები და სხვ. არცთუ ცოტაა ისეთი ობიექტები, რომლებიც საექსპლოატაციოდ ჯერ კიდევ 2-3 წლის წინათ უნდა გადაცემულიყო, მაგრამ დასასრული დღესაც არ ჩანს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, თუ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მიზანსწრაფულად უზელმძღვანელებენ მშენებლობებს, შეიძლება მნიშვნელოვნად დაჩქარდეს დაპროექტებაც, საჭიარო სამუშაოებიც და სიმძლავრეთა ათვისებაც. მაგალითად, ხობის რაიონში, სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელობა საქმიანად აანალიზებდა სამშენებლო მოედანზე შექმნილ ვითარებას და ოპერატიულად ეხმარებოდა მშენებლებს, გეგმით გათვალისწინებული მეცხოველეობის 15 ობიექტიდან ყველა დროულად გადაეცა საექსპლოატაციოდ.

სწორად იქცევიან, სადაც მეცხოველეობის ობიექტებს საექსპლოატაციოდ რიგების მიხედვით გადასცემენ. ამით შესაძლებლობა იქმნება მშენებლობის პროცესშივე უზრუნველყოთ პროდუქციის მიღება. მაგალითად, თელეთის მეიხეობის ფაბრიკა და კუმისის მებოცვრეობის კომპლექსი უკვე პროდუქციას იძლევიან, თუმცა მე-2 რიგის მშენებლობა გრძელდება. მაგრამ საწარმოო სიმძლავრის მინიმალურ დროში ათვისებაზე ყველგან როდი ფიქრობენ. მაგალითად, ზესტაფონის რაიონში, 800 სული ძროხისათვის კომპლექსი აშენდა, საკვები ბაზის დაპროექტებისათვის კი გვიან დაფაცურდნენ.

ინდუსტრიულ საფუძველზე ხორცისა და რძის წარმოება გაუყოფელია დეკეულების გამოსაზრდელი კომპლექსებისა და კომბინირებული საკვების საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება-განმტკიცებისაგან. საქმე ამ მხრივ მაინცდამაინც კარგად არ არის ოჩამჩირესა და ქუთაისში, სადაც კომბინირებული საკვების საამქროების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები არ სრულდება. გეგმები კვლავ ჩაშლილია წალკის რაიონში უშობლების გამოსაზრდელი კომპლექსების მშენებლობაზე, რომელიც ჯერ კიდევ შარშან უნდა დამთავრებულიყო.

ზაფხულის მზიანი, ხანგრძლივი დღე, თბილი ამინდები მისწრებია მშენებლობისათვის. წელიწადის ამ დროში შეიძლება არა მარტო ანაზღაურდეს გაცდენილი, არამედ დაჩქარდეს კიდეც მშენებლობის ტემპი და გაუმჯობესდეს ხარისხი, უზრუნველყოთ ასამოქმედებელი ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

მეცხოველეობის მშენებლობები პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, მშენებელთა შორის უნდა გაძლიერდეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა თითოეულმა მათგანმა ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ იმუშაოს უფრო ნაყოფიერად, უფრო ხარისხიანად, დაზოგოს მასალები და უფასოდ არ დაკარგოს დრო.

ხორცისა და რძის ინდუსტრიის მშენებლობებს — დამკვრელური ტემპი და მაღალი ხარისხი!

## ხელსაყრელია ქარხნისათვის, ხელსაყრელია სოფლისათვის

ორ პექტარზე მეტი უკავია მეღორეობის ფერმას, რომელიც განლაგებულია ჯასპის რაიონის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე. აქ ჩინებულად უვლიან ოცდაათ ნეზვსა და სამოცდაათ გოჭს, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობას არა აქვს დაგეგმილი ამ ფერმიდან მოგების მიღება — მისი მფლობელია თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“.

სამრეწველო საწარმოებთან დამხმარე მეურნეობების მოწყობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის მოთხოვნათა შესრულებას გაერთიანების მშრომელები წარმატებით უხამენენ სოფლად საშეფო მუშაობას. მარცვალსაცავების ახალი ფარდულები, „კაპიტალურად შეკეთებული ბოსლები, ფერმების ელექტროღუნერგა, კილომეტრობით გაწმენდილი სარწყავი არხები — ასეთია იმ დახმარების შედეგები, რომელსაც უკვე მეოთხე წელია კოლმეურნეობას უწევენ საწარმოს მუშაკები მუშაობისაგან თავისუფალ დროს. ამას უნდა დავუმატოთ ტონობით ყურძენიც, სიმინდიც, ხილიც, რომლებსაც შეფები იღებენ ალოობის დროს, როცა მინდვრებსა და ბაღებში განსაკუთრებით საჭიროა მუშახელი.

შეფები ყურადღებას არ აკლებენ არც სოფლელთა საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას. გაერთიანების თვითმოქმედების კოლექტივი, ლექტორთა ჯგუფის წევრები ხშირად გამოდიან სოფლის კლუბში.

თავის მხრივ, კოლმეურნეები შეფებს ეხმარებიან მეღორეობის ფერმის მომსახურებაში, რომლიდანაც წელს გაერთიანებამ სახელმწიფოს ჩაბარა რვა ტონა ხორცი. მუშათა ოჯახებს რეგულარულად ამარაგებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით საშეფო კოლმეურნეობა.

„ელექტროაპარატის“ მუშებმა, რომლებიც პრაქტიკულად დარწმუნდნენ, თუ რაოდენ ხელსაყრელია სოფლის მშრომელებთან უშუალო კონტაქტი, ამას წინათ თანამშრომლობის კიდევ ერთი ხელშეკრულება დადეს, ამჯერად თიანეთის რაიონის ახალსოფლის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობასთან. (საქინფორმი).

## გეგმა საფრთხეშია

ცხინვალის მეფრინველეობის ფაბრიკამ წელს რვა მილიონ 820 ათასი კვერცხი უნდა მიჰყიდოს სახელმწიფოს. შეძლებენ ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას? შარშანდელი შედეგები (ორი მილიონი კვერცხი დაკლდა გეგმას) და წლევანდელი შვიდი თვის მდგომარეობა — 5 მილიონის ნაცვლად დამზადებულია 3,5 მილიონი კვერცხი — ამის გარანტიას არ იძლევა. საქმე ის არის, რომ ფაბრიკის კოლექტივის მოუქნელი მუშაობის სხვა ხელისშემშლელი პირობებიც ემატება. ფაბრიკა საექსპლოატაციოდ მთელი რიგი დეფექტებით გადაეცა, მოუწესრიგებელია თბოტრასა, არ ჰყოფნით წყალი, მოსაგვარებელია საკუთარი საკვები ბაზის საკითხი, ვერ იყენებენ ყველა რეზერვს. წარუმატებლობა იმანაც განაპირობა, რომ ქუთაისის და გორის წისქვილკომბინატებიდან მიღებულ კომბინირებულ საკვებში პროტეინის შემცველობა დადგენილ ნორმაზე ყოველთვის 3-4 პროცენტით ნაკლები იყო. ამას არც საკვების მწარმოებლები მალავენ — რა ექნათ თევზის ფხვნილი არ გვყოფნისო. განა აღიარება შველის საქმეს?

გეგმა კანონია. იგი უნდა შესრულდეს, უწინარეს ყოვლისა, მეფრინველეობის ფაბრიკის ხელმძღვანელობამ (დირექტორი — რ. ალბოროვი, მთავარი ზოოტექნიკოსი — ვ. ქინქლაძე) რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ფაბრიკას ჰქონდეს საკუთარი საკვები ბაზა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მრავალწლიანი ბალახების თესვას, ბალახის ვიტამინიანი ფქვილის წარმოებას. შიგვე ფაბრიკაში უნდა გამოიძებნოს საშუალებები ძვალ-ხორცის ფქვილის წარმოებისათვის.

**გ. თედეევი,**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

დავალება — ვადამდე!



ხოროწყუს რაიონში წლეულს მნიშვნელოვნად მეტი ხორცი და რძე დაამზადეს შარშანდელ შესაბამის პეროდთან შედარებით. ამას მეცხოველეებმა პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით, საკვები ბაზის განმტკიცებით მიაღწიეს.

რაიონში ახლა ბევრია ისეთი ფერმა, სადაც წარმატებით ახორციელებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებას და თვალსაჩინო შედეგებს აღწევენ პროდუქციის წარმოების ტემპის გაორკეცების საქმეში. ამ მხრივ ერთ-ერთი მოწინავეა სოფელ კირცხის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ახალი კომპლექსი, რომელმაც მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში ცხრა თვის გეგმა შეასრულა. დავალების გადამეტებით წარმოებულია ათობით ცენტნერი რძე და ხორცი. ამასთან აქ მნიშვნელოვნად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, ცენტნერი ხორცი გეგმით გათვალისწინებული 48,6 მანეთის ნაცვლად 41 მანეთი დაჯდა.

კომპლექსის წარმატებები დამყარებულია მტკიცე საკვებ ბაზაზე. მარტო წლეულს დამზადდება 2.500 ტონა სილოსი, 1.500 ტონა ნეღაფი და 600 ტონა თივა.

ხუსრაოეებზე: მეცხოველეობის ახალი კომპლექსი სოფელ კირცხის კოლმეურნეობაში; კომპლექსის ერთ-ერთ ფერმაში.

**ბ. კიკვიძის ფოტო.** (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

---

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

# საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1979 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და 1979 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს შემდეგი შრომითი კოლექტივები:

| ერთმანეთს ეჯიბრებიან: | გამარჯვებულნი: |
|---|---|
| კვების მრეწველობის სამინისტრო — მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო | კვების მრეწველობის სამინისტრო |
| ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო — ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო | ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო |
| საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო | ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო |
| სახმომარაგება — საქსახსოფლტექნიკა | სახმომარაგება |
| საქმთავარენერგო — კავშირგაბმულობის სამინისტრო | საქმთავარენერგო |
| დამზადების სამინისტრო — საქსახსოფლტექნიკა | დამზადების სამინისტრო |
| საქმთავარმონტაჟსპეცმშენი — საქჰიდროენერგომშენი | საქჰიდროენერგომშენი |
| საქსახსოფლტექნიკა — სოფლის მეურნეობის სამინისტრო | საქსახსოფლტექნიკა |
| ცეკავშირი — ვაჭრობის სამინისტრო | ვაჭრობის სამინისტრო |
| საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო | საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო |
| საქართველოს საზღვაო სანაოსნო — ამიერკავკასიის რკინიგზა | ამიერკავკასიის რკინიგზა |
| კომუნალური მეურნეობის სამინისტრო — საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო | კომუნალური მეურნეობის სამინისტრო |
| საქნავთობმომარაგებგასაღება — მთავარგაზი | საქნავთობმომარაგებგასაღება |
| საავტომობილო გზატკეცილების სამინისტრო — წყალთა მეურნეობის სამინისტრო | საავტომობილო გზატკეცილების სამინისტრო |
| სატყეო მეურნეობის სამინისტრო — წყალთა მეურნეობის სამინისტრო | სატყეო მეურნეობის სამინისტრო |

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს, საავტომობილო გზატკეცილების სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ცეკავშირის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, მთავარგაზის, საქმთავარენერგოს, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ აღმოფხვრან ტრავმატიზმის შემთხვევები საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შეჯიბრებაში გამარჯვებულნი არ არიან იმის გამო, რომ ვერ შეასრულეს კაპიტალური მშენებლობის ძირითადი მაჩვენებლები და ორივე სამინისტროს აქვს ტრავმატიზმის შემთხვევები.

1979 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს:

### ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი

| ერთმანეთს ეჯიბრებიან: | გამარჯვებულნი: |
|---|---|
| აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ | აჭარის ასსრ |
| აფხაზეთის ასსრ — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი |

| ერთმანეთს ეჯიბრებიან: | გამარჯვებულნი: | ერთმანეთს ეჯიბრებიან: | გამარჯვებულნი: |
|---|---|---|---|

### ქალაქები:

| | | | |
|---|---|---|---|
| გორი — ცხინვალი | ცხინვალი | ჭიათურა — ტყიბული | ჭიათურა |
| ფოთი — ზუგდიდი | ზუგდიდი | ტყვარჩელი — ტყიბული | ტყიბული |
| ქუთაისი — რუსთავი | ქუთაისი | | |

### რაიონები:

| | | | |
|---|---|---|---|
| აბაშის — ოჩამჩირის | აბაშის | გორის — ახალქალაქის | ახალქალაქის |
| ასპინძის — შუახევის | ასპინძის | თელავის — ზესტაფონის | თელავის |
| მესტიის — ორჯონიკიძის | მესტიის | ახალციხის — ქობულეთის | ახალციხის |
| სამტრედიის — ხაშურის | სამტრედიის | ხობის — სიღნაღის | ხობის |
| დმანისის — დუშეთის | დმანისის | ცაგერის — მაიაკოვსკის | მაიაკოვსკი |
| ბოგდანოვკის — საგარეჯოს | ბოგდანოვკის | წალენჯიხის — ლაგოდეხის | წალენჯიხის |
| გალის — თერჯოლის | გალის | ლენტეხის — ახმეტის | ლენტეხის |
| გუდაუთის — ცხაკაიას | ცხაკაიას | ადიგენის — ხულოს | ხულოს |
| ზუგდიდის — მახარაძის | მახარაძის | ცხინვალის — წულუკიძის | წულუკიძის |
| ყაზბეგის — ლენინგორის | ლენინგორის | გულრიფშის — ქედის | გულრიფშის |
| მცხეთის — ბოლნისის | მცხეთის | ქობულეთის — ქ. გაგრა | ქობულეთის |
| ამბროლაურის — საჩხერის | ამბროლაურის | ალინშნა, რომ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებაში კარგი შედეგები მოიპოვეს შუახევის, დუშეთის, ზუგდიდის, ადიგენის რაიონებმა, ქალაქ გაგრის ზონამ. | |
| თიანეთის — წალკის | თიანეთის | | |
| ჩოხატაურის — გეგეჭკორის | გეგეჭკორის | | |
| ლანჩხუთის — ჩხოროწყუს | ჩხოროწყუს | | |
| ყვარლის — ვანის | ვანის | | |
| გურჯაანის — მარნეულის | მარნეულის | | |

(დასასრული მე-2 გვ.).

# სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1979 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ

(დასასრული)

### გამარჯვებულები ვერ გამოვლინდნენ შეჯიბრებაში:

**ქალაქებს სოხუმსა და ბათუმს** შორის — იმის გამო, რომ შენელდა სამრეწველო წარმოების ტემპი და შემცირდა შრომის ნაყოფიერება ქალაქ სოხუმში; ვერ შესრულდა საიჯარო სამუშაოთა, ტვირთბრუნვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმები (ვალდებულებათა გათვალისწინებით); არის პროდუქციის წარმოების მიხედვით ჩამორჩენილი საწარმოები ქალაქ ბათუმში;

**ჯავისა და ონის** რაიონებს შორის — იმის გამო, რომ ვერ შესრულდა მატყლის დამზადების გეგმა, საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა (ვალდებულებათა გათვალისწინებით) ჯავის რაიონში; ვერ შესრულდა მატყლის დამზადების გეგმა, შინელდა ხორცის, კვერცხის წარმოების ტემპი, ვერ შესრულდა სამრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, ვერ შესრულდა კაპიტალური მშენებლობის გეგმები (ვალდებულებათა გათვალისწინებით) ონის რაიონში;

**თეთრი წყაროსა და ჯახნის** რაიონებს შორის — იმის გამო, რომ ვერ შესრულდა რძის, კვერცხის დამზადების გეგმები. შინელდა საკვების დამზადების ტემპი, ვერ შესრულდა კაპიტალური მშენებლობის. საყოფაცხოვრებო მომსახურების, საქონელბრუნვის გეგმები (ვალდებულებათა გათვალისწინებით) თეთრი წყაროს რაიონში; ვერ შესრულდა ხორცის დამზადების გეგმები, დაქვითდა კვერცხის დამზადების ტემპი, შემცირდა საქონელბრუნვის ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა, ვერ შესრულდა კაპიტალური მშენებლობის. საყოფაცხოვრებო მომსახურების, საქონელბრუნვის გეგმები (ვალდებულებათა გათვალისწინებით) ჯაჯის რაიონში;

**ბორჩალოს რაიონსა და ქალაქ წყალტუბოს ზონას** შორის — იმის გამო, რომ ვერ შესრულდა რძის, მატყლის დამზადების გეგმები, შემცირდა სახეობრივთა ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა, იკოო სამრეწველო წარმოების ტემპმა და შრომის ნაყოფიერებამ. ვერ შესრულდა კაპიტალური მშენებლობა და შრომის ნაყოფიერების გეგმები (ვალდებულებათა გათვალისწინებით) ბორჩალოს რაიონში; ვერ შესრულდა კვერცხის დამზადების გეგმა, შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა, შენელდა ხორცის, ბოსტნეულის წარმოების ტემპი, ვერ შესრულდა საქონელბრუნვის გეგმა (ვალდებულებათა გათვალისწინებით) ხელვაჩაურის რაიონში;

**ზნაურისა და ქარელის რაიონებს** შორის — იმის გამო, რომ ვერ შესრულდა რძის დამზადების გეგმა, შინელდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მრეწველობაში, ვერ შესრულდა საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქონელბრუნვის გეგმები (ვალდებულებათა გათვალისწინებით) ზნაურის რაიონში; ვერ შესრულდა მატყლის დამზადების გეგმა, შინელდა ხორცის დამზადების, სამრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, ვერ შესრულდა კაპიტალური მშენებლობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქონელბრუნვის გეგმები (ვალდებულებათა გათვალისწინებით) ქარელის რაიონში.

აღინიშნა, რომ სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ ქალაქებში ცხინვალში, ფოთში, ჭიათურაში, ტყიბულში, ტყვარჩელში, ონჩამირის, ხაშურის, დმანისის, ბოგდანოვკის, გუდაუთის, თიანეთის, ლანჩხუთის, მარნეულის, გორის, სიღნაღის, წალენჯიხის, ლაგოდეხის, ლენტეხის, ახმეტის, ადიგენის რაიონებში.

**საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიებს დაეგალათ ყოველწლიურად გააძლიერონ სოციალისტური შეჯიბრება ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს, ქალაქებსა და რაიონებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ცალკეულ შრომითს კოლექტივებს შორის, უზრუნველყონ, რომ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების პროცესში შეჯიბრების მონაწილენი რეგულარულად აცნობდნენ ერთმანეთს თავ-თავიანთ მაჩვენებლებს. (საქინფორმი).**



# ექსკურსია საერთო საცხოვრებელში

**თბილისის** საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მუშებმა დაარღვიეს ტრადიცია ყოველი შაბათ-კვირა ქალაქგარეთ გაეტარებინათ. მათ სურვილი გამოთქვეს „ექსკურსია“ მოეწყოთ გაერთიანების მშენებარე ობიექტებში. უწინარეს ყოვლისა, ეწვივნენ საერთო საცხოვრებელს — რვასართულიან შენობას, რომელიც მშვენივრად შეერწყა გლდანის საცხოვრებელი მასივის არქიტექტურულ ანსამბლს.

— აქ შეიძლება ოჯახით ჩასახლდე, — იხუმრა საიარაღო საამქროს მღარავმა ჯუმბერ პაპუაშვილმა. — ყველა ბინას აქვს საბაზანო, გაზი, სამზარეულო.

— დაქორწინდით ბიჭებო, ოჯახიანებს აგერ იმ საერთო საცხოვრებელში ჩავასახლებთ, — შენიშნა ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მზარეულამ.

ფანჯრიდან მოჩანდა კოშკური ამწე: მშენებლებს კიდევ ერთი საერთო საცხოვრებლის მეშვიდე სართული ამოჰყავთ.

...ამ დროს რბილი ავეჯი მოიტანეს. ელმავალსაშენებელი ქარხნის მუშაკები სიამოვნებით დაეხმარნენ მუშებს შემოეტანათ იგი შენობაში, გაენაწილებინათ სართულებზე, ოთახებში.

შემდეგ ელმავალმშენებლები გაემგზავრნენ საგარეუბნო კურორტ ცხვარიჭამიაში, სადაც მათი დასასვენებელი ბაზა მდებარეობს. ახლა იქ ისვენებს 120 ბავშვი. ზაფხულში ეს პიონერთა ბანაკია, ზამთარში კი თვით მუშები ისვენებენ.

ელმავალმშენებლებს მოეწყოთ სპორტული კომპლექსიც, რომელიც მტკვრის პირას შენდება. მალე გაერთიანების მუშამოსამსახურეებს ექნებათ თავიანთი სტადიონი, საცურაო აუზი, საჭიდაო დარბაზი, კალათბურთის მოედანი.

ელმავალმშენებლები ექსკურსიით კმაყოფილი დარჩნენ.

—ჩვენი გაერთიანების ახალმშენებლობანი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ზ. ჩივაძემ, — ერთ-ერთის მთავარი პუნქტია საწარმოს გენერალური რეკონსტრუქციის გეგმაში. წარმოების ზრდის გამო უკვე 1981 წელს მივიღებთ სამი ათასამდე ახალ მუშას. ამიტომაც უკვე დღეიდანვე უნდა ვიზრუნოთ მათი ცხოვრების სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისათვის. ვაშლიჯვარსა და თემქის დასახლებაში დაიწყო ხუთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. განსაკუთრებით ვზრუნავთ წარმოების მუშაკთა ჯანმრთელობისა და დასვენებისათვის. მალე გაიიცება სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის კარი, რომელიც შენდება გაერთიანების მეთაური საწარმოს ტერიტორიაზე. შენდება აგრეთვე ქარხნის საავადმყოფო, პოლიკლინიკა. გეგმაშია შავი ზღვის სანაპიროზე დასასვენებელი ბაზის მშენებლობა.



# ტყე — ჩვენი სიმდიდრე

**მიმდინარე წლის 11-12 აგვისტოს ეწყობა სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიება — რესპუბლიკის ტყეების მასობრივი დათვალიერება, რომლის მიზანია გამოავლინოს საქართველოს მწვანე მასივების მოვლა-პატრონობაში, მის მიზნობრივად, რაციონალურად გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებანი და შეიმუშაოს საჭირო დამატებითი რეკომენდაციები.**

**ამ მოვლენასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრს შ. ჰალაბანიძეს.**

— როგორც ცნობილია, ასეთი ღონისძიება ჩვენში პირველი არ არის. იგი წინათაც მოეწყო და, ცხადია, საინტერესოა, რა პრაქტიკული შედეგები მოჰყვა მას?

— პირველი ასეთი დათვალიერება გაიმართა 1978 წელს, რომელმაც ბევრი მასალა მოგვცა ჩვენი ტყეების დღევანდელი მდგომარეობის გასაანალიზებლად და პრაქტიკული დასკვნების გამოსატანად. ავიღოთ თუნდაც ტყის გასაშენებლად ახალი ფართობების ათვისების საკითხი. განვლილ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ალდოვანი ნიადაგის პირობებში, ეროზიით დაზიანებულ მიწებზე, მთების დატერასებულ ფერდობებზე ტყეების გაშენების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, მექანიზაციის ფართოდ დანერგვას. საკმარისია აღინიშნოს, რომ შარშან რესპუბლიკის ტერიტორიის „მწვანე სამოსელი“ 10.500 ჰექტარით გაფართოვდა.

— **წლევანდელ დათვალიერებაში რომელი ორგანიზაციები მიიღებენ მონაწილეობას და რა ძირითადი ამოცანები დგას მათ წინაშე?**

— მათი ნუსხა საკმაოდ ვრცელია. ამ კეთილშობილურ საქმეში ჩაბმული არიან ქალაქებისა და რაიონების საზოგადოებრიობის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შესაბამისი პროფილის მეცნიერები, სპეციალისტები, კულტურის დაწესებულებათა მუშაკები. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიქმნა სპეციალური კომისიები. რას მოველით დათვალიერებისაგან? უწინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ტყის კულტურების დამცავი ნარგავების, ნაკრძალების გაშენების სამუშაოთა ხარისხი, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე. დათვალიერების პროცესში ზედმიწევნით შემოწმდება ახალი მწვანე მასივების გაშენების ხარისხი და აგროვადების დაცვა, ზუსტად იცავენ თუ არა ადგილებზე ტყის კაფების დადგენილ წესებს, რამდენად სრულყოფილად სრულდება მეტყევეობაში სამუშაოთა მთელი კომპლექსი და რამდენად ეფექტიანად იყენებენ ამ საქმეში მეცნიერთა და სპეციალისტთა რეკომენდაციებს. შემოწმდება აგრეთვე ტყეებისა და ტყის კულტურების, დამცავი ზოლების, ნაკრძალების, ტყის სათესლე ნაკვეთების, ტყეებში სამეურნეო დანიშნულების გზების მდგომარეობა, სპეციალისტები საჭირო დახმარებას გაუწევენ მეტყევეებს ხელმრუდე ადამიანებისაგან, მავნებლებისა და დაავადებებისაგან, ხანძრებისაგან ტყეების დაცვის ორგანიზაციაში.

დათვალიერების მაღალ ორგანიზებულ დონეზე მოწყობა საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი, ღრმად ჩავწვდეთ მათს წარმომშობ მიზეზებს და შევიმუშაოთ მათი აღმოფხვრის კონკრეტული, ეფექტიანი ღონისძიებები, გამოვნახოთ ახალი დამატებითი რეზერვები სატყეო მეურნეობის დარგში მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დათვალიერების მიზანია აგრეთვე მეტყევეთა სოციალისტური შეჯიბრების პირობების სრულყოფა, მისი მიმდინარეობის შემოწმება. გამარჯვებული მეურნეობებისათვის დებულებით გათვალისწინებულია მატერიალური წახალისება.

ნარგავებისათვის, ტყეებისათვის ზრუნვა ყველა ჩვენგანის დიდი მოქალაქეობრივი ვალია და, ვიმედოვნებთ, რომ თითოეული მშრომელი თავის წვლილს შეიტანს ტყის მოვლა-პატრონობის საქმეში.



# მიზანია საპატიო ხუთკუთხედი

**31 ივლისს** დამთავრდა პროდუქციის ხარისხისა და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის რესპუბლიკური დათვალიერება-ერთთვიური. გაწეული მუშაობის შეფასებას ხელს შეუწყობს ერთთვიურის დასაწყისისათვის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების საწყის პოზიციებთან შედარება. იმას, თუ როგორი იყო ეს პოზიციები, მკითხველი გიგებს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილის მ. გეგეშიძის ინტერვიუდან, რომელშიც იგი გამარტავს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებს წლის პირველ ნახევარში გამოშვებული პროდუქციის ტექნიკური დონის შესახებ.

**— სტატისტიკის თანახმად, სახელმწიფო ხარისხსნიშნიანი პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპმა ნახევარი წლის მანძილზე რესპუბლიკაში შეადგინა 211,8 პროცენტი, რაც უმაღლესი მაჩვენებელია ჩვენს ქვეყანაში. ნიშნავს თუ არა ეს, რომ წლის დამდეგიდან ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები ყველაზე სწრაფად აუმჯობესებდნენ მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს?**

— წელს საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა სახელმწიფო ხარისხსნიშნიანი პროდუქციის გამოშვების მხრივ მართლაც სხვებზე ბევრად გაუსწრეს თავიანთ შარშანდელ მიჯნებს. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგანაც მათი მიჯნები განსხვავდებოდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობის საწყისი პოზიციებისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ აქ საქმე გვაქვს სხვადასხვა ამოსავალ წერტილთან.

უმჯობესი იქნება, სურათი წარმოვადგინოთ ძირითადი და ყველასათვის ერთიანი მაჩვენებლის მიხედვით. ჩვენი მრეწველობის მიერ წლის პირველ ნახევარში გამოშვებული მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობაში საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქციის ხვედრითმა წონამ 17,7 პროცენტი შეადგინა, ეს კი ერთიორად აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ამგვარად, ამ ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით ჩვენ მეორე ადგილი გვიკავია ბელორუსიის სს რესპუბლიკის შემდეგ.

თუ გასული წლის 1 ივლისისათვის რესპუბლიკის 190 საწარმომ სახელმწიფო ხარისხის ნიშნით სულ 912 დასახელების პროდუქციია გამოუშვა, წელს ამ პერიოდისათვის უკვე ჩვენმა 260 ფაბრიკამ და ქარხანამ გამოუშვა 1.822 დასახელების პროდუქცია. ასეთი პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა მთლიანად მოლ შრომობენ. აი საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანები, კოლმეურნეობათა სახელმოხვეჭილი თავმჯდომარეები სევერიან მუხა შავრია და მიხაკო ორაგველიძე. წელს 38 წელი სრულდება, რაკი ეს ორი ადამიანი საკოლმეურნეობის მიხაკო ორაგველიძე და მისი კოლმეურნეობა უკრაინის გენჩიესკის რაიონის კოლმეურნეებს დაუმობილდნენ. მიხაკო ორაგველიძის წიგნი, რომელიც ამ ამბავს ასაბავს, რამდენჯერმე გამოიცა ქართულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე. ამ დღეებში მახარაძის რაიონულ თეატრში დაიდგა მისი პიესა „თავმჯდომარე“. ეს მისი ძველი წიგნის გადამღერება როდია, როგორც ამას ხშირად ვვრებიან ჩვენი ძმები, მწერლები, არამედ სრულიად ახალი ნაწარმოებია თავისი სიუჟეტით, გმირებითა და კონფლიქტებით. ავტორმა პიესაში თავისი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება გამოიყენა და მაყურებელიც გულთბილად შეხვდა სპექტაკლს.

აი 102 წლის კონსტანტინე გუჯაბიძე. ეს სწორედ ის გუჯაბიძეა, რომლის ეზოშიც სოფელ ნატანებში ათიოდე წლის წინათ მიხეილ შოლოხოვმა ოთხი ხე დარგო ვეტერანის იმ ოთხი ვაჟის ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც დიდ სამამულო ომში დაიღუპნენ. გუჯაბიძე ასაკის მიუხედავად, ძალ-ღონის დაუზოგავად მუშაობს პალიასტომის „ლელიანში.

ეს კოლეგები ჯერ კიდევ ამოსაწმრობია. მისი განვითარების პერსპექტივებზე ლაპარაკია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის დადგენილებაში.

კოლეგეთის მიწების ამოშრობა ამავე დროს პოლიტიკური, სოციალურ ამოცანებსაც წყვეტს. ეს ნიშნავს, რომ უმნიშვნელოვანეს მიწის რეზერვებს მივიღებთ სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. და უამისოდ ვერც მივალწევთ იმ მაღალ მიჯნებს, რომლებიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას აქვს დასახული უახლოესი წლებისათვის. სპეციალისტებს ვარაუდით, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება მიაღწევს 700 ათას ტონას, ციტრუსეულისა — 400 ათას ტონას, ხილისა — 1.200 ათას ტონას. კოლეგეთის დაბლობის მიწების ამოშრობა და ათვისება ხელს შეუწყობს მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნასაც. აი, რა ეშმარიტად გრანდიოზული გეგმები აქვს დასახული კომუნისტურ პარტიას, აი, რა უზარმაზარი ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი რესპუბლიკის მშრომელებს. და ეს ამოცანები გადაწყდება, ისევე როგორც გადაწყდა პარტიის მიერ დასახული ამოცანები ოცდათიათ წლებში, ჩემი ახალგაზრდობის დღეებში.

აი მიქრის მანქანა ზუგდიდის რაიონში. მახსოვს, ახალსოფლის კოლმეურნეობის მიწებზე ოდესღაც ამბობდნენ: თუ ვინმეს არა აქვს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა [illegible] ეს უწინარესად ამ სოფლის კოლმეურნეებზე ითქმოდა. [illegible] ეს ადგილი ბოლო [illegible] ბალახებით [illegible] ბალახებად გადაჰქონდა. აქ 31 სოციალისტური შრომის გმირი მუშაობს. ორი მათგანის, ორგზის გმირების პატივსაცემად, სოფლის ცენტრში ბიუსტები დაუდგამთ. ესენი გახლავან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანთიმოზ როგავა და სახელგანთქმული მეჩაიე თამარ ყუფუნია.

ზუგდიდის რაიონს კი ემეზობლება მახარაძის, კოლეგეთის დაბლობის ერთ-ერთი უდიდესი მეჩაიეობის რაიონი. იგი განთქმულია ციტრუსის ბაღებითაც. ყოველივე ეს იმ ადამიანთა გარჯის ნაყოფია, რომლებმაც 30-იან წლებში ჭაობებს გამოჰგლიჯეს ბარაქიანი მიწა. ახლა კი მახარაძეში ბუნების დაცვის მუზეუმის აშენებას აპირებენ. როგორ გავიგოთ ეს? — იკითხავთ თქვენ. აქ ხომ ნახევარი საუკუნის მანძილზე ადამიანი გმირულად „ებრძოდა“ ბუნებას! არა, ამ დაჭაობებული მიწების ათვისების მრავალი წლის ეპოპეა სრულიადაც არ არის ბრძოლა ბუნების წინააღმდეგ, არამედ ბუნებისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ იმრავლოს მოსავალმა და ბარაქამ. ამიტომ კოლეგეთის დაბლობის 225 ათასი ჰექტარიდან ადამიანი მხოლოდ 135 ათასს აითვისებს, დანარჩენი მიწა კი მეცნიერთა წინადადებით, თავისი პირველყოფილი სახით დარჩება.

და აი კოლეგეთმა კვლავ შავ ზღვასთან მიმიყვანა. ჯახთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც ჯოტო გუგუჩია თავმჯდომარეობს, ზედ წყლის პირას აქვს სავარგულები. წინათ არავის ეგონა, რომ ამ მიწის ათვისება შეიძლებოდა. კოლმეურნეობის ძველი წევრებიც, თვით თავმჯდომარის უფროსი ძმა, კოლმეურნეობის ვეტერანი ვ. გუგუჩიაც კი, ეჭვობდნენ, მაგრამ ჯოტომ უკან არ დაიხია და შინგ შუა ჭაობში შეიყვანა არხები. მის ნაპირებზე სიმინდი დათესა, და აი უკვე მესამე წელია ჭირნახულს იღებს. კოლმეურნეობის „ფლოტილია“ შიგ ზღვაში გადის. ცურვიდან უკან რომ ბრუნდებიან, მოტორიანი ნავები არხებით პირდაპირ კოლმეურნეობის სავარგულამდე, ნავმისადგომამდეც ადიან. ესეც ვენეცია! — გავიფიქრე მე. თვით სახელი ჯოტოც, თითქოს,. საოცრად ესადაგება ამ ზოგიერთებს. და გამახსენდა მე ჩემი ძველი სტრიქონები:

**„დროს რომ ეცლია, მტრებს რომ ეცლიათ, კოლხეთს ვაქცევ; დით ჩვენც ვენეციად...“.**

მაშ ასე, ეტყობა, ჩემი ეს ოცნებაც ამხდარა.

**„იზვესტია“, 29/VII.**

# ,,კომუნისტის'' ინტერვიუ

# მაამული ჩემი, კოლხეთი!

*ირაკლი აბაშიძე*

□

მწვანე ხალიჩად გადაშლილი კოლხეთი დასავლეთ საქართველოს ზვიად ქედებსა და ნაყოფიერ სავსე ველებს შავ ზღვას თითქოს ფეხთით უფენს. მაგრამ... აქაური ციებ-ცხელება საშინელებაა. მას ჯერ კიდევ ჰიპოკრატე იხსენიებდაო, —ვკითხულობთ გასული საუკუნის მოგზაურთა ჩანაწერებში. კოლხეთის მალარიის საშინელება ჩემი თაობის ადამიანებმაც კი გამოსცადეს — კოლხეთის ცხოვრების არნახული გარდატეხა ხომ ჩვენ თვალწინ მოხდა ოცდაათიან წლებში. ჯერ ადამიანმა ავადმყოფობა დაამარცხა, სიცოცხლეს რომ უწამლავდა ხალხს, მერე ჭაობებს შეუტია, რადგან იცოდა, რომ თუ აქაურობას ამოაშრობდა, ამ მადლიან მიწაზე ჩაის პლანტაციები და ნარინჯის ბაღები აყვავდებოდა. მე ვიყავი მოწმე იმ დაუვიწყარი ისტორიული მოვლენისა, როცა ადამიანმა პირველად დაადგა ფეხი კოლხეთის დაბლობის დაშრობილ სამოსახლოს. „პირველ მოსახლეს“ — ასე უწოდა თავის ლექსს შესანშნავმა ქართველმა პოეტმა პაოლო იაშვილმა. კოლხეთის მომავალს მიუძღვნა მშვენიერი პოეტური სტრიქონები ტიციან ტაბიძემ პოემაში „რიონი—პორტი“. იმ წლებში მეც ვწერდი იმ დიად გარდაქმნებზე, რომლებიც ამ მხარეში ხდებოდა, და მამინდელი ლექსები დღემდე ძვირფასია ჩემთვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, კოლხეთის ეპოპეა ყველაზე სრულად პაუსტოვსკის ამავე სახელწოდების მოთხრობაში აისახა. კონსტანტინე პაუსტოვსკი „სპეცტანსაკეთილში“ გამოწყობილი და ფანქრით ხელში არაერთხელ მინახავს დასავლეთ საქართველოს შარაგზებსა და გზაჯვარედინებზე.

ამას წინათ კვლავ მომიხდა ყოფნა ჩემთვის სამახსოვრო ადგილებში. აი პატარა სოფელი ხაბუმე. 1932 წელს რესპუბლიკის კომკავშირის დავალებით ამ ადგილებისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის — ჩაის პროპაგანდისტად გამომგზავნეს აქ. ბევრს მაშინ ექვი ეპარებოდა, რომ ამ ნაჯაობარში ესოდენ ჭირვეული მცენარე გაიხარებდა. მათი დარწმუნება იოლი საქმე არ გახლდათ. თვითონ მეც იმ წლებში, გულახდილად რომ ვთქვა, ბოლომდე არ მჭონდა წარმოდგენილი, თუ რა უდიდესი ცვლილებანი მოხდებოდა სოფლის ცხოვრებაში, რა მშვენიერი მომავალი ელოდა კოლხეთს. მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ჩვენ ყველას ძალზე გვწყუროდა და ველოდით სწორედ ასეთ მომავალს ამ გაცოცხლებული მხარისათვის.

და აი, დღეს ჩემ თვალწინ არის ეს მომავალი. აი შეკვეღი „კოლხეთის კარიბჭე“ — აბაშის რაიონი. იგი შედარებით მოშორებულია ზღვას, ნიადაგი აქ უფრო მშრალია, თუმცა გაზაფხულისა და ზაფხულის კოკისპირული წვიმების დროს წყლით იჟღინთება ხოლმე. აქ მოპყავთ სიმინდი, ეთერზეთოვანი მცენარეები და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, კარგად არის განვითარებული მეცხოველეობაც.

დღეს რესპუბლიკაშიც და მის ფარგლებს გარეთაც ბევრს ლაპარაკობენ აბაშის რაიონზე. მიზეზი ის გახლავთ, რომ სწორედ აქ, „კოლხეთის კარიბჭეში“, მრავალდარგოვანი წარმოების პირობებში გამოინახა და პრაქტიკულად გამოავლინა დიდი ეფექტიანობა რაიონის მასშტაბით სოფლის მეურნეობის მართვის ახალმა ფორმამ. პარტიის რაიკომის გაბედული ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირა და მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რაიონში შექმნა სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანება, რომელმაც შეაკავა უამრავი დარგობრივი ორგანიზაცია, სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებას რომ ემორჩილებოდნენ. ამან იმის საშუალება შექმნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ერთიანი გეგმით გასძღოლოდნენ, გაეერთიანებინათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაიონული ორგანიზაციების ინტერესები, მატერიალურად და მორალურად დაინტერესებინათ საერთო საქმის წარმატებით ყველა. ამ გარდაქმნებს ხელს უწყობდა აგრეთვე გაბედული ღონისძიებანი კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომის ანაზღაურების მოსაწესრიგებლად, მატერიალური სტიმულირების ახალი ფორმები. ამ რაიონის მეურნეობებს რომ მოიგლი, თვალნათლივ რწმუნდები, რაოდენ სასარგებლო ყოფილა ეს ინიციატივა. აქ წლითიწლობით მატულობს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, სულ უფრო ღონივრდებიან მეურნეობანი. წინათ ჩამორჩენილი ეს რაიონი მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

აბაშელთა მაგალითს, რომელსაც მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის კიდევ ათმა რაიონმა მიბაძა. ამ რაიონის გამოცდილებით დაინტერესდნენ მეზობელი რესპუბლიკებიც, და ახლა აბაშელები ემზადებიან ამერკავკასიის რესპუბლიკების თათბირ-სემინარებისათვის, რომლებზეც დაწვრილებით გააანალიზებენ ახლო უკვე ამ მრავალი წლის მუშაობის გამოცდილებას.

როცა ვისმენ პარტიული მუშაკებისა და აქტივისტების ნაამბობს, როცა ვაკვირდები კოლეგურნეთა შეხმატკბილებულ და დაინტერესებულ მუშაობას სიმინდის ყანაში თუ მეცხოველეობის ფერმაში, სულ უფრო ხშირად ვუბრუნდები იმ აზრს, რომ სწორედ თანამედროვე აბაშაა ის მომავლის კოლეგეთი, რომელსაც ოცდაათიან წლებში ასურათებდა მხატვარი ბეჩო—კონსტანტინე პაუსტოვსკის მოთხრობის „კოლხეთის“ გმირი. დიახ, ასეა, ოცნება რეალობად იქცა!

მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველგან ასე როდია. აბაშა ამავე დროს ხვალინდელი დღეა კოლხეთის იმ რაიონებისა, სადაც ჯერ კიდევ ებრძვიან ჭაობს.

გზა სულ უფრო შორს მიიკლაკნება დასავლეთისაკენ. პალიასტომის ტბას რომ მიუახლოვდები, თითქოს განსაკუთრებული ძალით გრძნობ იმ დაუვიწყარი ოცდაათიანი წლების გუგუნს. საქმე ის გახლავთ, რომ ომის დროს, შემდეგ მის მომდევნო წლებში კოლხეთის დაბლობზე სამელიორაციო სამუშაოები ძალუნებურად შეწყდა. შეყოვნდა ახალი ფართობების ათვისება ფართო მასშტაბით, ზოგიერთი ათვისებული მიწა კი კვლავ დაჭაობდა ზღვისა და ნალექების ზემოქმედების შედეგად. საჭირო გახდა მათი რეკონსტრუქცია. თურმე, კოლხეთის დაბლობის წყლის ბალანსი ჯეროვნად არ ყოფილა შესწავლილი. ნათელი გახდა, რომ კოლხეთის დაშრობის ყველა საკითხს უფრო მაღალი თანამედროვე მეცნიერული დონით სჭირდებოდა მიდგომა.

ჩვენს დღეებში ახალი მძლავრი შეტევა დაიწყო კოლხეთის ჭაობის წინააღმდეგ და ამ შეტევას საფუძვლად დაედო მეცნიერული აზრი და სრულყოფილი ტექნიკა. ათობით უახლეს მექანიზმს მიაქვს იერიში ჭაობებზე. ტექნიკა ახალია, მასშტაბიც სხვაგვარია დღეს, აი ენთუზიაზმი კი ადამიანებს ძველებური შემორჩათ, ისეთი, როგორიც ჩემი ახალგაზრდობის წლებში მახსოვს. და მიხარია, როცა ამ ენთუზიაზმს ვხედავ. ჩვენებური გლეხკაცი, რომელიც ყოველ მტკაველ ნაყოფიერ მიწას დაჰკანკალებს, განსაკუთრებული სიხარულითა და შრომისმოყვარეობით ართმევს ჭაობს ამ ბარაქიან ნიადაგს.

პალიასტომის ტბის გარშემო, უკვე ხელსაყრელ ნიადაგზე ყველგან მუშაობა ჩქეფს. აქ თიბავა გაჩაღებული და ლაქაში, როგორც კი თაკარა მზეში ოდნავ შეხმება, პირუტყვის საკვებად გადაიქცევა. კოლმეურნეები კატარღებით მოდიან და მეიზიდებიან დამზადებულ მწვანე მასას. დღეს პალიასტომის ნაპირებზე მარტო „შრომის“ კოლმეურნეობას ექვსი ათასი ასეთი ჰექტარი აქვს გამოყოფილი საკვებისათვის. და როცა მშრომელები ხორცის წარმოების გაზრდას აპირებენ, ამ ფართობების იმედიც აქვთ. სწორედ ამიტომ არის, რომ კოლხეთის სხვა კოლმეურნეებიც ფიქრობენ ახალი არხები გაიყვანონ პალიასტომის დაჭაობებულ სანაპირო ფართობებში.

სანამ გზას განვაგრძობდე, მინდა გაგაცნოთ შესანიშნავი ადამიანები, ჩემი ძველი მეგობრები, რომლებიც პალიასტომის გარშემო შრომობენ. ეს ადამიანები ამავე დროს ხვალინდელი დღეა კოლხეთის იმ რაიონებისა, სადაც ჯერ კიდევ ებრძვიან ჭაობს.

[illegible] ... ეს ... ადამიანი ... 31 სოციალისტური შრომის გმირი მუშაობს. ორი მათგანის, ორგზის გმირების პატივსაცემად, სოფლის ცენტრში ბიუსტები დაუდგამთ. ესენი გახლავან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანთიმოზ როგავა და სახელგანთქმული მეჩაიე თამარ ყუფუნია.

ზუგდიდის რაიონს კი ემეზობლება მახარაძის, კოლეგეთის დაბლობის ერთ-ერთი უდიდესი მეჩაიეობის რაიონი. იგი განთქმულია ციტრუსის ბაღებითაც. ყოველივე ეს იმ ადამიანთა გარჯის ნაყოფია, რომლებმაც 30-იან წლებში ჭაობებს გამოჰგლიჯეს ბარაქიანი მიწა. ახლა კი მახარაძეში ბუნების დაცვის მუზეუმის აშენებას აპირებენ. როგორ გავიგოთ ეს? — იკითხავთ თქვენ. აქ ხომ ნახევარი საუკუნის მანძილზე ადამიანი გმირულად „ებრძოდა“ ბუნებას! არა, ამ დაჭაობებული მიწების ათვისების მრავალი წლის ეპოპეა სრულიადაც არ არის ბრძოლა ბუნების წინააღმდეგ, არამედ ბუნებისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ იმრავლოს მოსავალმა და ბარაქამ. ამიტომ კოლეგეთის დაბლობის 225 ათასი ჰექტარიდან ადამიანი მხოლოდ 135 ათასს აითვისებს, დანარჩენი მიწა კი მეცნიერთა წინადადებით

**დღეს რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში იწყება მისაღები გამოცდები. წარმატებას გისურვებთ, მეგობრებო!**

# ცოდნამ გაიმარჯვოს!

დადგა ზაფხულის ყველაზე ცხელი თვე არა მარტო ჰაერის ტემპერატურის მხრივ, არამედ გრეთვე საგამოცდო ცხარე დღეებითაც, — გვასტო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (სოხუმი), თბილისის ზოოტექნიკურ-ვეტერინარო სასწავლო-კვლევითის ინსტიტუტში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტში, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, გორის ს. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დიდი ხნის დაბეჭდილი მზადების შემდეგ იწყება შესასვლელი გამოცდები.

დღეს უჩვეულოდ უძაგერს გული ათიათასობით ჭაბუკსა და ქალიშვილს, თავის ბედს რომ ადგის — გახდეს სტუდენტი. ამ ათიათას ახალგაზრდას თუ მივუმატებთ კიდევ ათასებს, დღეს რესპუბლიკის ტექნიკუმებში, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელად რომ იბრძვიან, აგრეთვე მათს მშობლებს, მეგობრებს, გულშემატკივრებს, თვით უმაღლეს სასწავლებელთა რექტორატებს, ტექნიკუმების დირექტორატებს, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, მთელ საზოგადოებრიობას, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოლოდინით ელავს მთელი საქართველო.

ხალხი დაძაბულად ადევნებს თვალყურს გაიოცდების მიმდინარეობას, მღელვარებით მოელის მის შედეგებს, მტკიცე რწმენით შეჰყურებს საგამოცდო და მიმღებ კომისიებს — ისე ამოქმედებენ თუ არა როგორც მათ დაავალა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელიც მიეძღვნა გამოცდების ჩატარების საკითხებს მიეძღვნა, აღინიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ღირსეული ახალგაზრდებით უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დაკომპლექტებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა აკომპრომისოდ, თანამიმდევრულად და პრინციპულად იბრძვიან ამ მიზნის მისაღწევად.

მხოლოდ ღირსეული გახდება სტუდენტი! — ასეთია გამოცდების დევიზი.

უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ყველა ამბიტურიენტი ვერ ჩაირიცხება, მაგრამ ამათ, ვინც კონკურსში ვერ გავა, გული არ უნდა გაიტეხონ, შრომის ფრონტს უნდა მიაშურონ და მომავალში, შრომის სტაჟის მქონენი, უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას უპირატესობა ექნებათ უსტაჟო ამბიტურიენტებთან შედარებით.

დიდად დამფიქრებელი და სამწუხაროა ის ფაქტი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე 1 ადგილზე 35-40 პრეტენდენტი მოდის, მაშინ, როდესაც საინჟინრო და ზუსტ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე შესვლის მსურველთა რაოდენობა ცოტაა. ეს ალნიშნული იყო გაზეთ „პრავდის“ 30 ივლისის სარედაქციო მასალაშიც „კონკურსის წინ“. უნივერსიტეტის, ჩვენი საშუალო სკოლების კოლეტივებმა მტკიცედ უნდა გაითვალისწინონ ეს მდგომარეობა, მომავალში მთელი სერიოზულობით იმუშაონ მოსწავლე და აბიტურიენტ ახალგაზრდებთან მათი პროფესიული ორიენტაციის მიზნით.

გამოცდები დაიწყო. ყველაფერი უნდა ვიღოცოთ მათი მაღალ დონეზე ჩასატარებლად! ცოდნამ გაიმარჯვოს!

## ირონიული ღიმილი

### გამოცდაზე:

ტანკისტის შვილი.




მეამწის შვილი.

ოთავის მაგიერ... ფეხის იმედით.

მხატვრები მ. აბაშიძე და ლ. მართაშვილი.

---

ABAS წინათ ტაქსის მძღოლი მოვარდა რედაქციაში ქოშინითა და დიდის ამბით, მგზავრს ხელჩანთა დარჩა მანქანაში, იქნებ პატრონის მოძებნაში დამეხმაროთო, — გამოგვიცხადა მან და თავის პერსონაც წარმოგვიდგინა, არსენა სინჯიაშვილი გახლავართო. მერე ნაპოვნი ტყავის ჩანთა გახსნა და სათითაოდ გადმოგვიღაგა და გადმოგვითვალა ყველაფერი, რაც შიგ ეწყო: „ეს ფული, ჩვიდმეტი მანეთია თანდ, კაპიკისთვის ხელი არ მიხლია, ეს საყურე, ოქრომჭედელმა მითხრა, უბრალოაო, მოოქრული ხელოვნურთვლებიანი, ესეც მზის სათვალე, სარკე, პომადა, სავარცხელი. ცხვრისახოცი, ამ შუშაში ალბათ სუნამოა, კარგი სუნი ასდის, აქ რაღაც საბუთებია კიდევ“...

თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რა განათლებული და გათვითცნობიერებული ხალხია ჩვენი ტაქსის მძღოლები, და, ვეჭვობ, არსენა სინჯიაშვილს არ სცოდნოდა, რომ რედაქცია დაკარგული ნივთების შესანახი ადგილი არ არის. მაგრამ ეტყობა, ის ჩვენთან თავის გაძოჩენის წუკურვილმა უფრო მოიყვანა, ვიდრე იმ ნივთების დამკარგავის დარდმა...

იქნებ, ამიტომაც ფიქრად არ მოსვლია მისი მოქმედება საგაზეთო თემად გამეხადა, და თუ იგი მაინც ამ ფელეტონის ერთერთ პერსონაჟად იქცა, ამას შემთხვევას და გარემოებას უნდა უმადლოდეს და არა ჩემს მოწადინებას.

— აგერ, ბატონო, საბუთები, გადაშალეთ, ნახეთ გვარი, სახელი, მისამართი და გაუგზავნეთ პატრონს თავისი ქონება, თუ არადა, წერილი მისწერეთ, მისამართი მეიცით და თვითონვე მოგაკითხავთ, — ვურჩევ სინჯიაშვილს, მაგრამ იგი აშკარად იმედგაცრუებული და ნაწყენი იყო იმის გამო, რომ მისი კეთილშობილური საქციელი სათანადოდ არ შეფასეს. სახეზევე ეწერა, არ მიიღებდა ჩემს რჩევას: უმალ მტკვარში გადაუძახებდა ამ ნივთებს, ვიდრე პატრონს გაუგზავნიდა.

— კარგი, დატოვეთ, ჩვენ ვიპოვით ამის პატრონს.

დაეკვება შევატყვე, ხელკარიელი წასვლა უჭირდა, ვაი თუ, სულაც არ გაუგზავნონ, და, თუნდაც გაუგზავნონ, მე ვინ მეტყვის მადლობასო, ფიქრობდა ალბათ გულში, როცა წამოდგა და ფეხათრევით გაემართა კარისკენ.

სხვისეული ნივთები მუდამ ცნობისმოყვარეობას აღძრავს ხალმე და მარტო რომ დაერჩი, ჩანთაში ჩავიხედე, თუმცა ვგრძნობდი, ეს ჩემი მხრივ ლამაზი და ეთიკური არ იყო. თავის გასამართლებელ საბუთად ისღა მრჩებოდა, რომ მზოლოდ ასე შემეძლო ნივთების მფლობელის ვინაობისა და მისამართის დადგენა. თუმცა ამის გარკვევას, სინჯიაშვილს რომ არ დავებნიე, თურმე დიდი კვლევა-ძიება, ლარი და ხაზი არც სჭირდებოდა, ხელთა მქონდა ჩანთის პატრონის საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, რომელსაც თან ერთოდა სკოლის დირექციისა და კომკავშირის კომიტეტის მიერ გაცემული დახასიათება კურსდამთავრებულისა, ხოლო იქვე, იმავე ქაღალდებზე მიკრული სალელმწიფო ბეჭდით დამოწმებული ქალიშვილის ფოტოსურათები ყველა ამ ნივთთან და საბუთთან ერთად გარკვეულ წარმოდგენას მიქმნიდა ხელჩანთის მფლობელის პიროვნებაზე.

## ფელეტონი

# დაკარგული ატესტატი

**„ჰია-ჰია, მაკოვნინე, მე შენ დელას (სწორ გზას) გაკოვნინეს...“**

მაგრამ ჩანთაში აღმოჩნდა კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელმაც იმაზე უფრო ღრმად ჩამახედა ამ ქალიშვილის ცხოვრებაში, ვიდრე მე, უცხო კაცს, ამის უფლება მქონდა. ამიტომ წინასწარ ბოდიში უნდა მოვიხადო ჯერ იმ ქალიშვილისა და მერე საზოგადოებრიობის წინაშე.

ეს დოკუმენტი გახლავთ პირადი ბარათი ამ გოგონას მამის მიერ ძმისადმი მიწერილი. უნებურად ხელში მომხვდა, წავიკითხე და ახლა, რაკი ეს ამბავი საგაზეთოდ გავხადე, იძულებული ვარ თქვენც წაგაკითხოთ...

ვგრძნობ, რომ მკითხველი უხერხულად იშმუშნება... მე მესმის თქვენი, ეს მართლაც მეტისმეტია, მაგრამ, როცა ქუხს და ღამეულ ცას ელვის შოლტები სერავს, ცაცინათელებისათვის ვისღა სცალია! გვაქვს კი უფლება ეთიკის წესებს მივსდიოთ, გავიუმდეთ და თვალი დავხუჭოთ ამ დროს, როცა ვხედავთ ადამიანი დაცემის, დანშაულის გზაზეა დამდგარი?!..

აი ეს ბარათიც, იმ ქალიშვილის მამისა, ძმისადმი მიწერილი, გთხოვთ გულდასმით წაიკითხოთ და მერე ერთად განვსაჯოთ.

„ძმაო გურამ! გიგზავნი შენს რძალს და ძმისშვილს, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ. ამ ჩემს ქალიშვილს დიდი ცოდნით თავი რომ არ უსკდება, შენც გაგებული გექნება. მეხუთე კლასიდან მოყოლებული სულ კერძო მასწავლებლებთან დაგვდიოდა, მაგრამ რად გინდა, სამიანებზე მეტს მაინც ვერ ღებულობდა. მერე ჭკუა ვისწავლე, რასაც მოზადებაში ვაძლევდი კერძო მასწავლებლებს, სკოლაში საგნის მასწავლებლებს დავუნაწილე. და დავურიგე, ზოგს ფულად, ზოგს ხელმწიფო ბეჭდიანი ატესტატი. ეს ყველაფერი ჩანთაში ჩავიხედე, ეს ჩემი მხრივ ლამაზი და ეთიკური არ იყო. თავის გასამართლებელ საბუთად ისღა მრჩებოდა, რომ მზოლოდ ასე შემეძლო ნივთების მფლობელის ვინაობისა და მისამართის დადგენა. თუმცა ამის გარკვევას, სინჯიაშვილს რომ არ დავებნიე, თურმე დიდი კვლევა-ძიება, ლარი და ხაზი არც სჭირდებოდა, ხელთა მქონდა ჩანთის პატრონის საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, რომელსაც თან ერთოდა სკოლის დირექციისა და კომკავშირის კომიტეტის მიერ გაცემული დახასიათება კურსდამთავრებულისა, ხოლო იქვე, იმავე ქაღალდებზე მიკრული სამაგალითო ნიმუშები. შინ დაურეკავდნენ ხოლმე წინასწარ, ხელგამოგიძახებ, ესა და ეს გაკვეთილი დაისწავლეო და ბავშვსაც ყოველდღე იმდენი მეცადინეობა და თავისტეხა არ სჭირდებოდა, გაკვდიოდით იოლას. მარტო იმ შენმა ძმაკაცმა, ინსტიტუტის ამხანაგი რომ გყავს ერთი, ბედოვლათი, თენგიზია ძნელაძე, იმან დაგვტანჯა და გაგვაწამა ფიზიკაში. ვერა და ვერ მიეუდექით ვერაფრით, არც ფული და სარეკლამო აიღო, არც ნიშანი აუწია, სამიანი არ მოაკლა. მაღალი ნიშანი თუ უნდა, კარგადაც უნდა ისწავლოსო, გაკვეთილების შემდეგ დარჩეს და ვამაკადინებო. არ უქნია ღმერთს, მაგ შენი ძმაკაცი. არ ესმის გოგოს ეს შენი ფიზიკა და ხომ არ უნდა ჩამოახრჩო? ადექი და დაუწერე შენც ერთი გაჭირვებული ოთხიანი! არა, არ შერჩებოდა. ასე იყო თუ ისე, ბოლოს მაინც ატესტატი კარგი წამოვიღეთ სკოლიდან, არა ვართ უკმაყოფილო, ოთხნახევარ ქულაზე მეტი გამოუდის საერთო ჯამში... ახლა ყველაფერი შენზეა ჩემო ძვირფასო ძმაო, ჩვენი გვარის სიამაყეე, იმედო და ნუგეშო! უნდა გამოიღო თავი და როგორმე წელს უმაღლესის გარეთ არ დამტოვო ბავშვი... მე და დედამისს სამედიცინო გვაქვს ამოჭრილი გულში, თვითონ ბოგო უცხო ენებისკენ იქაჩება, უფრო მემარჯვებაო, მაგრამ მაგას ვინ ეკითხება. ამბობენ, სამედიცინო ინსტიტუტი ფულით ძნელი მისადგომი შეიქნაო, ზოგი იმასაც იძახის, ფულიც უნდა გქონდეს და ცოდნაც, მოგეცეს ლხენა, ცოდნა კარგი იყოს, მაგრამ თუ არა აქვს მეტი ნიჭი და უნარი, რას იზამ, ფულს უნდა დაუწვე... იმისაც ქე შეშინია, მოვაწყო და მერე გამორიცხონ. სულ არ იცის ეს შენი ქმია და ფიზიკა! მასწავლებელმა მითხრა, ოთხიანს კი ვუწერ, მაგრამ სითხეს მყარისგან ვერ არჩევსო, სასმელი წყლის, საჭმელი მარილის, ვენახის შესაწამლი შაბიამნის ფორმულის დაწერა ვერ ვასწავლეო... არადა, ინსტიტუტში სიმწრით მოწყობილი რომ გამირიცხონ, მთლად დაღუპავ და თავის მოჭრა იქნება, ამიტომ, ერთი პირობა, ისიც კი ვიფიქრე, ჯერ სამედიცინო სასწავლებელში შეეიყვან-მეთქი, ცოტა რაღაცას ისწავლის, ხუთ პროცენტში მოვახვედრებინებ და მერე მოვაწყობ სამედიცინო ინსტიტუტში-მეთქი, მაგრამ ამას დრო უნდა — სამი წელიწადი. მაგდენ ხანს ვიცოცხლებ? ხომ ხედავ რა პანტა-პუნტით ცვივა ხალხი, ეს ინფარქტეო, ეს კიბოო, მე შენ გეტყვი, ნერვიულობა და გულის ხეთქვა გვაყლია! არ ვიცი, რა გზას დავადგე, დაბნეული ვარ, რაღა ახლა გაძნელდა საქმე, მე რომ დამჭირდა, დარდით აღარა ვარ კაცი! გაისად კიდევ ბიჭი ამთავრებს, მაგის საქმესაც აქედანვე უნდა შემზადება. ინჟინრობა მინდაო, დაიჩემა, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კი მათემატიკაში მანქანა ცდის, ერთი ესეც გამიგე, თუ ძმა ხარ, მაგ მანქანას არსაიდან მოუვლება?

ერთი სიტყვით, შენს იმედზე ვართ. ფულით და ხარჯით ნუ დამზოგავ. რამდენიც საჭირო იქნება, მზადა ვარ. ვიცი, დიდი ავტორიტეტი და გამავლობა გაქვს, მაგრამ უფულოდ, ცარიელ სიტყვაზე და დაპირებაზე ნურავის ენდობი, მოტყუებული დავრჩებით. ფული, ფულია დღეს ყველაფერი, აბა შენ იცი. შენი მოსიყვარულე ძმა ნოდარი“.

რას იტყვით, ასეთი კაცის გულში ჩასახედად, მგონი, ღირდა ეთიკის კანონების დარღვევა და დაუკრფავში გადასვლა?!

სხვა კომენტარი, ვფიქრობ, ამ ბარათს არ სჭირდება. ავტორს ისე ნათლად და გარკვევით აქვს გამოთქმული თავისი აზრები, რომ ვერაფერს დაუმატებ. ოღონდ საკითხავი, აქვს კი მას საფუძველი ასე იფიქროს და ასეთი გზით უმაღლეს სასწავლებელში შვილის მოწყობის იმედი იქონიოს?

ეს დიდი და თავსატეხი კითხვაა და ამაზე ყოველი ჩვენგანი ღრმად უნდა ჩაფიქრდეს!

ბოლოს ისღა დამრჩენია, დავაკმაყოფილო მკითხველის ცნობისმოყვარეობა და დაკარგული ატესტატის მფლობელისა და მისი მამის, ამ ბარათის ავტორის ვინაობა გავამხელო.

არა, ამას ვერ ვიზამ. იმ ქალიშვილის ხათრით არ ვიზამ ამას, რომელსაც ჯერ 17 წელიც არ შესრულებია და ეს-ეს არის დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე უნდა გავიდეს (ისე დასასჯელი კაა, შშობლების ასეთი დათვური სამსახურისაგან თავმოყვარე ბავშვმაც თავი შორს უნდა დაიჭიროს).

პატიოსან სიტყვას ვაძლევ, მას სამუდამოდ შევუნახავ ამ საიდუმლოს, თუ წელს მისაღებ გამოცდებზე ხელს აიღებს, გულმოდგინედ მეამზადება საგაისოდ, რეპეტიტორების ნაცვლად მოსაზადებელ კურსებს, ლექციებს თუ კონსულტაციებს აირჩევს, რომლებიც, მადლობა ღმერთს, ინსტიტუტებშიც საკმაოდ არის და ტელევიზიაშიც, და ატესტატისა და ნივთების წასაღებად გაის ამ დროს მომაკითხავს.

ოღონდ თვითონ უნდა მოვიდეს, მამამისს ნუ გამომიგზავნის! მაშინ, დაკარგული ატესტატი, რომელიც ახლა მის გარდა ყველას ეკუთვნის — ფულზე გაყიდულ მასწავლებლებს, „მზრუნველ“ შშობლებს — თვით იმ ტაქსის მძღოლს ნაპოვნად კი აღარ ჩაეთვლება, არამედ ახლად გაცემულად და კანონიერად, რაზეთუ მასზე ხელს მოაწერენ ფიზიკის მასწავლებელიც ბატონი თენგიზ ძნელაძე და „კომუნისტის“ მილიონნახევარი მკითხველიც.

**მ. მიქაძე.**


## მეცნიერების ჯორიჯტრეტები

# სნაველობენ ატმოსფეროს ჯანმრთელობას

აბასთუმანში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბაზაზე დამთავრდა ორი ჭვეყნის — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მეცნიერთა კომპლექსური ექსპერიმენტი.

საჭინფორმის კორესპონდენტმა კ. ცხომელიძემ ექსპერიმენტის ხელმძღვანელებსა და ორგანიზატორებს სთხოვა განემარტათ ექსპერიმენტის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ვ. დ. სტეპანენკომ, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, ა. ი. ვოეიკოვის სახელობის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის (ლენინგრადი) დირექტორის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი:

ექსპერიმენტის შედეგები საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერებს საშუალებას მისცემს მნიშვნელოვნად გაიფართოონ წარმოდგენა ბუნებრივი აეროზოლების წარმოქმნის მექანიზმებისა და ატმოსფეროში მათი სინთეზის შესახებ.

ი. ე. კაზაკოვი, საბჭოთა კავშირ-ამერიკის გარემოს დაცვის დარგში თანამშრომლობის შერეული კომისიის მრჩეველი:

საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერები ერთად ახორციელებენ ამ დარგში ორმოცზე მეტ გრძელვადიან სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამას.

დოქტორი თომას ძიუბეი, ამერიკელ მეცნიერთა დელეგაციის ხელმძღვანელი, ამერიკის შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტოს წარმომადგენელი:

მიმაჩნია, რომ შემდეგშიც უნდა მოეწყოს აბასთუმნის ექსპერიმენტის მსგავსი ერთობლივი ექსპერიმენტები. ასეთი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გაერთიანებას ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად, როგორიც არის გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დაცვა.

ე. კ. ხარაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, ექსპერიმენტის მოწყობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:

აბასთუმანში ერთობლივმა მუშაობამ გაფართოვა და გააღრმავა საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერთა ურთიერთობა. ექსპერიმენტის მონაწილეებს აბასთუმნიდან მიაქვთ ძალიან დიდი მეცნიერული მასალა, რომელთა ინტერპრეტაცია მნიშვნელოვან მეცნიერულ დასკვნებს მოგვცემს. ჩვენ კიდევ ერთხელ დარწმუნდით, თუ რაოდენ სასარგებლო და საჭიროა შემდეგშიც განვაგრძოთ მსგავსი შეხვედრები.



საერთაშორისო ცხოვრება

# ლენინის ჯუნგლებზე


## ნიკარაგუა: რევოლუციის დასაცავად

მანაგუა, 31 ივლისი. (საკ.ესის სპეც. კორ.). სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენლებმა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ილაპარაკეს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების წინაშე ნიკარაგუის რევოლუციის დასაცავად. მათ თქვეს, რომ მომდინარეობს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რეორგანიზაცია, კერძოდ, აღნიშნეს, რომ შეიქმნა სანდინისტური სახალხო არმიის მთავარი სარდლობა ლუის კარიონის, თომას ბორხესი და უმბერტო ორტეგის შემადგენლობით. შექმნილია სანდინისტური სახალხო არმიის გენერალური შტაბი ხოაკინ კუადრას მეთაურობით. ეროვნული აღორძინების დროებითი დემოკრატიული მთავრობის ხელმძღვანელ საბჭოსთან შეიარაღებული ძალების წარმომადგენლად დანიშნულია ხოსე ვალდივია როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

ნიკარაგუის ახალი არმია, ხაზი გაუსვა პრესკონფერენციაზე გამოსვლისას უ. ორტეგამ, დგას ქვეყნის უშიშროების სადარაჯოზე და მისი ამოცანაა დაიცვას და არა დათრგუნოს ხალხი, როგორც დიქტატურის დროს იყო.

სანდინისტური სახალხო არმიის რეორგანიზაცია და განმტკიცება და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების შექმნა, აღნიშნა ლ. კარიონმა, ნიკარაგუისადმი ინტერვენციის საფრთხით არის ნაკარნახევი. ჰონდურასში, თქვა მან, ყოფილი დიქტატორის ა. სომოსას შვილი პორტოკარერო საერთაშორისო რეაქციის მეშვეობით ეროვნული გვარდიის გადარჩენილ წევრთაგან ბანდებს აკოწიწებს ასეთი შეჭრის განსახორციელებლად. მაიორი ბრავო — მეორე ჯალათი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ხალხის რბევა-დაწიოკებაში და თავშესაფარი ფლორიდის შტატს ქალაქ მაიამში ჰპოვა — ამერიკის შეერთებულ შტატებში ქირაობს ჯარისკაცებს ამავე მიზნით, რისთვისაც ამერიკის მასობრივი ინფორმაციის სახსრებს იყენებს.

„ჩვენ არ გაგვკვირდება, — ხაზი გაუსვა ლ. კარიონმა, — თუ რევოლუციის ძველი მტრების — იმპერიალიზმისა და ამერიკის რეაქციის მეშვეობით ბანდიტები, რომლებმაც სისხლის ღვარი დააყენეს ნიკარაგუაში, კვლავ შეეცდებიან ჩვენს ქვეყანას თავს მოახვიონ ტერორისა და შიშის რეჟიმი. ამ შემთხვევაში სახალხო სანდინისტური არმია, მთელი ნიკარაგუელი ხალხი რევოლუციის დასაცავად აღსდგებიან. ჩვენ ვფიქრობთ ყოველ ქვეყანას, მათ შორის შეერთებულ შტატებს: ნუ ჩაებმეებიან სამხედრო ავანტიურაში ნიკარაგუის წინააღმდეგ.

საერთოდ ქვეყანაში მშვიდი ვითარებაა, თუმცა მოსალამოების შემდეგ დედაქალაქის მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ უტეხავენ ხოლმე სროლას ახალ ხელისუფლებს კონტრრევოლუციონერები. გუშინწინ საღამოს მოეწყო შეიარაღებული თავდასხმა მანაგუის ცენტრში მდებარე ეროვნული რადიოსა და ტელევიზიის ცენტრზე, სროლამ დაახლოებით ნახევარ საათს გასტანა.

დამნაშავენი, როგორც წესი, ისრაელური წარმოების „გალილის“ ავტომატებით აღჭურვილნი და სანდინისტების ფორმა აცვიათ. ქალაქის მთელ რიგ უბნებში სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მებრძოლებსა და მშვიდობიან მცხოვრებთ ცეცხლს უშენენ სომოსას დროს შექმნილ ნახევრად სამხედრო ფაშისტურ ფორმირებათა წევრი სნაიპერები.

მანაგუის მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს სომოსელი ჯალათებისა და დამნაშავეების მხილებაში. მცხოვრებთა წყალობით უკანასკნელ დღეებში რამდენიმე ტერორისტული ჯგუფი უვნებელყვეს.

ნიკარაგუა კვლავ იღებს დახმარებას სურსათ-სანოვაგისა და მედიკამენტების სახით სხვადასხვა ქვეყნებიდან, უმთავრესად კუბიდან და ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოებიდან.

ასობით მანაგუელმა წარსული შაბათკვირა იმას მოახმარა, რომ ენახა ქვეყნის შიდა რაიონებში მცხოვრები ნათესავები, რომლებთანაც მრავალი თვის მანძილზე არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

**ვ. შეხოვცევი.**

**სურათზე: გამარჯვება! ნიკარაგუა ზეიმობს საძულველ დიქტატურაზე გამარჯვებას.**

**„პრავდის“ სპეც. კორესპონდენტის ლ. კოსტანიანის ფოტო.**

## ოკლედ

# ყოველი მხრიდან

*31 ივლისი*

**ბონი.** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცხოვრების ღირებულებამ მიმდინარე წლის ივლისში მიაღწია ყველაზე მაღალ დონეს 1976 წლის ივნისიდან განვლილ პერიოდში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების თანახმად ივლისში ფასებმა მოიმატა დაახლოებით 4,5 პროცენტით გასული წლის ამავე თვესთან შედარებით. წინა თვეში ეს მაჩვენებელი 3,9 პროცენტს შეადგენდა.

**მადრიდი.** ესპანეთში მიმდინარე წლის ივლისის დამლევს უმუშევართა რიცხვმა 1 მილიონ 128 ათასს მიაღწია. ეროვნული სტატისტიკური ინსტიტუტის მონაცემებით ეს ქვეყნის მთელი თვითმოქმედი მოსახლეობის 8,66 პროცენტს შეადგენს.

ყველაზე მეტი „ზედმეტი“ ადამიანი არის მშენებლებს, მომსახურების სფეროს ყოფილ მუშაკებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშებს შორის. ინსტიტუტის ცნობაში აღნიშნულია, რომ იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ცხოვრებაში პირველ სამუშაო ადგილს ეძებენ 400.000-ს აღემატება.

**ვაშინგტონი.** შრომის სამინისტროს მონაცემებში დადასტურებულია ამერიკის ეკონომიკის სერიოზული დაქვეითება. აქ გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ქვეყანაში შრომის ნაყოფიერება წლიური გაანგარიშებით 3,8 პროცენტით შემცირდა. ეს 1975 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში აღრიცხული ყველაზე დიდი დაქვეითებაა.

**ტოკიო.** იაპონიის ტრანსპორტის მინისტრმა კ. მორიამამ გამოაცხადა გეგმები, რომელთა თანახმადაც ქვეყნის ექვს დიდ ქალაქში გაძვირდა მგზავრობა ავტობუსითა და ტაქსით. როგორც გაზეთი „მაინიტი“ აღნიშნავს, ტოკიოში ტაქსით მგზავრობა 16 პროცენტით და მეტად გაძვირდა. (საკ.ესი).

## ვიეტნამ-ჩინეთის მოლაპარაკება

**პეკინი,** 31 ივლისი. (საკ.ესი). ვიეტნამის მთავრობის დელეგაციის მეთაური ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დინ ნიოლიემი დღეს გამოვიდა ვიეტნამ-ჩინეთის მოლაპარაკების მეორე რაუნდის მორიგ სხდომაზე. მან დაგმო ჩინეთის პროვოკაციული და ჰეგემონისტური მოქმედება ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ. ჩინეთის მხარეს, თქვა მან, კვლავ ჰყავს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრების უშუალო სიახლოვეს დაახლოებით 12 საარმიო დივიზია და შეიარაღებულ შეჭრასა და სხვა მტრულ აქციებს ახორციელებს ვიეტნამის წინააღმდეგ. არასრული მონაცემებით, მარტო ივლისში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებმა მიმართეს 80 შეიარაღებულ პროვოკაციას, რომელთაგან უდიდესი იყო ვიეტნამის ტერიტორიის სიღრმეში 4 კილომეტრზე ჩინეთის ჯარების ბატალიონის შეჭრა. ამავე დროს ჩინეთის ხელმძღვანელი მოღვაწენი კვლავ იმუქრებიან ვიეტნამს აგრესიით, აღვივებენ შოვინისტურ განწყობილებას ჩინურ მოსახლეობას შორის ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიმართ.

ჩინეთის ჰეგემონისტურ მიზნებს ემსახურება აგრეთვე ცდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოიყენონ ეგრეთწოდებული „კამპუჩიის საკითხი“ და „ინდოჩინელ ლტოლვილთა პრობლემა“. ყველა ეს მოქმედება განწირულია ჩასაფუშად, ხაზი გაუსვა დინ ნიოლიემმა. ვიეტნამელ ხალხს ვერ დააშინებენ, ისტორიული გარდაქმნები კამპუჩიაში კი შეუქცევადია. მოლაპარაკებაზე პროგრესის მიღწევისათვის, ხაზი გაუსვა მან, ჩინეთის მხარემ უარი უნდა თქვას ჰეგემონისტურ მოქმედებაზე ვიეტნამის მიმართ და დაუბრუნდეს თავდაპირველ დღის წესრიგს, დაიწყოს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის კონკრეტულ წინადადებათა განხილვა, რომელთა მიზანია ურთიერთობის ნორმალიზაცია ორ ქვეყანას შორის, უწინარეს ყოვლისა განიხილოს და ხელი მოაწეროს ვიეტნამის მხარის მიერ შეთავაზებულ საზღვრის რაიონში პროვოკაციების დაუშვებლობის შესახებ შეთანხმების პროექტს.

ჩინეთის დელეგაციის მეთაურის ხან ნიანლუნის სიტყვა შეიცავდა უკვე ცნობილ ჩინეთის მხარის მოთხოვნებს, რომლებიც ეხება კამპუჩიის საკითხის განხილვას, იმის მიუხედავად, რომ იგი არ არის მოლაპარაკების მონაწილე. გარდა ამისა, ჩინეთის წარმომადგენელი დაჟინებით მოითხოვდა ჰეგემონიზმის საკითხი განეხილათ ჩინეთის გაგებით, მიმართავდა ცილისმწამებლურ გამოხდომებს.

## ინიღბებიან

### მითი „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ

**პრაღა,** 31 ივლისი. (საკ.ესი). დასავლეთის პროპაგანდის მიერ შექმნილი მითი „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ სანიმბავი ბადეა, რომელსაც გაფფრებული სიძულვილით აგებენ იმპერიალისტები თავიანთი აგრესიული პოლიტიკის გამართლებისათვის, წერს დღეს „რუდე პრავო“.

რეაქცია, წერს გაზეთი, ცდილობს უწინარეს ყოვლისა ეს მითი იმისათვის გამოიყენოს, რომ მიჩქმალოს საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი საერთაშორისო ურთიერთობის მშვიდობიან გარდაქმნაში. მაგრამ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მოწინააღმდეგენი და ანტისაბჭოურობის თავგამოდებული მომხრენი ვეღარ ბედავენ აშკარად გაილაშქრონ დაძაბულობის შენელების პოლიტიკის წინააღმდეგ. ამიტომ ისინი იგონებენ სხვადასხვა მითს, რათა სახელი გაუტეხონ საბჭოთა

ᲗᲔᲚᲘᲤᲝᲜᲘᲡ
12 ᲗᲕᲔ

## სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

# ᲰᲘᲛᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ Ჯ. ᲔᲜᲣᲭᲘᲫᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ. (31 ივლისი. ტელეფონით).** სპარტაკიადა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მისი ფინიშის კონტურები უკვე მოიხატება. რამდენიმე დღეც და დაჯამდება საბოლოო შედეგები. 31 ივლისისათვის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე 15 სახეობაში დამთავრებულ შეჯიბრებათა, აგრეთვე ძიუდოში, ცურვაში, ტყვიის სროლაში, ძალოსნობაᲐა და აფროსნობაში ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუმთავრებელ ასპარეზობათა შედეგებით **საქართველოს სპორტული დელეგაცია მეშვიდე ადგილზეა — 1763,8 ქულა. წინ გვიხწრებენ: რსფსრ 7891,2, უკრაინა — 6431,5, მოსკოვი — 6065,4, ბელორუსია — 4575,8, ლენინგრადი — 4425,2, ყაზახეთი — 2130,5 ქულა, მერვე ადგილზეა ლატვიის კოლექტივი — 1662,5, მეცხრეზე — უზბეკეთია — 1656 ქულა.**

როცა სპორტსმენი გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე დგას და თავისი რესპუბლიკის ჰიმნს ისმენს, გული სიამაყით ევსება, სიხარულს ვერ ფარავ და უნებურად გჯერა, რომ შენც მასთან ერთად ადიხარ ჩემპიონის ძნელ კიბეზე. ასეთი წუთები განგვაცდევინეს 30 ივლისს ძიუდოისტმა რამაზ ხარშილაძემ და მესტენდერე თეიმურაზ მატოიანმა. ისინი რომ სპარტაკიადის ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ, „კომუნისტის“ მკითხველებმა ჩვენი ექსპრეს-ინფორმაციის საშუალებით უკვე იციან. ახლა კი გავადევნოთ თვალი იმასაც, თუ როგორ განვლეს მათ ჩემპიონობის წოდებამდე ერთობ ძნელი და უშეღავათო ბრძოლის გზა.

მრგვალ სტენდზე წარმატებებისათვის ბრძოლაში საქართველოს ოთხი სპორტსმენი ჩაება— თ. მატოიანი, თ. იმნაიშვილი, ტ. ეფენტენტი და ზ. მელაძე. მათგან პირველი სამი თავიდანვე ლიდერთა ჯგუფში მოხვდა და თითოეულ მათგანს ყოველი მომდევნო სერია გამარჯვებასთან აახლოებდა. ამ სამეულიდან სამი სერიის შემდეგ ყველაზე კარგი მდგომარეობა თ. იმნაიშვილს ჰქონდა (74 ქულა 75 შესაძლებლიდან). მატოიანი მას ერთი ქულით ჩამორჩებოდა. მომდევნო ოთხ სერიაში მატოიანმა ქულათა მაქსიმუმი (100) დააგროვა, ხოლო იმნაიშვილმა 97. ბოლო სერიაში მატოიანმაც და იმნაიშვილმაც 24-24 სამიზნე დააზიანეს. **საბოლოოდ მატოიანმა ყველას გაუსწრო, სულ 197 ქულა დააგროვა და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. იმნაიშვილი 195 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა. ამდენივე ქულით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ბ. ხოხვალდმა მესამე ადგილი დაიკავა (დამატებით ორ სერიაში ხოხვალდმა იმარჯვა). და მაინც, წესის თანახმად, იმნაიშვილმა საქართველოს დელეგაციას მესამე ადგილისათვის განკუთვნილი ქულები მოუტანა.** თ. მატოიანი დიდი ხანია, რაც მრგვალ სტენდზე ასპარეზობს, მას არაერთი წარმატება მოუპოვებია ჩვენი ქვეყნის თუ საზღვარგარეთის სასროლოებზე. და აი, ამ 30 წლის გამოცდილმა სპორტსმენმა სპარტაკიადის ჩემპიონის წოდებაც დაიმსახურა.

**აღსანიშნავია, რომ მრგვალ სტენდზე სროლაში ჩვენმა სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაში მე-2 ადგილი დაიკავეს.**

**გ. მატოიანთან ერთად ძიუდოისტმა რ. ხარშილაძემაც ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. 95 კგ წონითს კატეგორიაში მოსპარეზეთა შორის მისი დამმარცხებელი არავინ იყო.** მაგრამ ხარშილაძეს ყოველმა ათლეტმა მედგარი მეტოქეობა გაუწია. აი ისინიც, ვისაც ქართველი ფალავანი ეჭიდავა: ს. სმოლინსკი (ლატვია), ა. შუროვი (რსფსრ), ვლ. ბურინი (აზერბაიჯანი) და ა. ვასილიონეკი (ბელორუსია). ამ სპორტსმენებთან ორთაბრძოლები ხარშილაძემ უაღრესად ოსტატურად ჩაატარა, იგი თითოეულ მეტოქესთან ბრძოლის სწორ ტაქტიკურ გეგმას ირჩევდა. ამის შედეგად იგი მეორე ტურნირში გამარჯვებულ როკე ვაშონს (საფრანგეთი) შეხვდა და ისიც დამარცხა. ხარშილაძემ ამ ორთაბრძოლის მოგებით კიდევ ერთხელ დამტკიცა, რომ იგი ამჟამად 95 კგ წონითს კატეგორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო საბჭოთა, არამედ უცხოელ სპორტსმენთა შორისაც. პრესკონფერენციაზე ხარშილაძემ საბჭოთა და უცხოელ კორესპონდენტებს უთხრა: **„ეს მორიგი გამარჯვება ახალი ამოცანების წინაშე მაყენებს, მიღწეულს ვერ დავსჯერდები, ვინაიდან ჩვენშიც და უცხოეთშიც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მეტოქე მეგულება, რომლებიც ყოველთვის შეიცდებიან ჩემთან წარმატებების მოპოვებას. რას იზამ, ასეთია სპორტის კანონი, ყველას უძლიერესთან ჭიდილში სურს გამარჯვება...“**

**გვახარებენ საქართველოს მოკრივეები. მათგან ოთხი ნახევარფინალში იასპარეზებს.** ესენი არიან: ო. დეულინი (48 კგ), ა. ხიზანიშვილი (54 კგ), მ. თაქთაქიშვილი (71 კგ) და დ. კვეჭაძე (81 კგ). **კვეჭაძე მეოთხედფინალში შეხვდა თავის ძველ მეტოქეს ა. კლიმანოვს (უკრაინა). მათი ორთაბრძოლა უკვე მეორე რაუნდში შეწყდა იმის გამო, რომ კლიმანოვს წარი დაუზიანდა. კვეჭაძის მეტოქე ნახევარფინალში ლიტველი ა. იანჩაუსკასი იქნება.**

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა, როგორც ვიცით, ნახევარფინალური ტურნირის მეორე მატჩი ყაზახეთის გუნდთან გამართა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2. საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გოგია, სულაქველიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია (თავაძე), ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ჩელებაძე.** თავდაპირველად ყაზახები დაწინაურდნენ. გოლი გაიტანა ბლანტმა. ამის შემდეგ ქორიძემ ალადგინა წონასწორობა. შემდეგ კი ჩელებაძემ ზუსტად გამოიყენა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო. მეკარე უბიკინი მარჯვნივ გადახტა, ბურთი კი მარცხენა კუთხეში გავიდა. მეორე ტაიმში თამაშის დამთავრებამდე ჩვიდმეტი წუთით ადრე ჩელებაძის მიერ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, მას მიუსწრო ჩივაძემ და ანგარიში გახდა 3:1. მატჩის ბოლოს მეტოქეებმა ერთი ბურთის გაქცევთვი შეძლეს. ეს გააკეთა შობმა. ნახევარფინალურ ტურნირში ჩვენმა მთავარმა მოწინააღმდეგემ — რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა დაამარცხა ლენინგრადის გუნდი—2:0. ახლა საქართველოსა და რუსეთის სფსრ გუნდებს 3-3 ქულა აქვთ. შეიქმნა ერთობ რთული სატურნირო მდგომარეობა. ამ ორი კოლექტივიდან რომელი გავა ფინალში, ბოლო მატჩებში გაირკვევა. ჩვენ ვხედებით ლენინგრადელებს, ხოლო რუსეთის ფედერაციის ფეხბურთელები — ყაზახებს.

მხატვრულ ტანვარჯიშში ჯერჯერობით დაწინაურებულია უკრაინის ნაკრები — 19,2 ქულა, საქართველოს კოლექტივი კი მეოთხე ადგილზეა — 18,4.

წყალმხტომელთა გუნდურ ასპარეზობაში წინ არიან მოსკოველები (124 ქულა). საქართველოს სპორტსმენები 11 ქულით ჯერჯერობით მეექვსე ადგილზე არიან.

ადრე აღვნიშნავდით, რომ სსრ კავშირის ხალხთა მე-7 სპარტაკიადა მაინცდამაინც არ გვანებივრებდა მსოფლიო რეკორდებით, მაგრამ აი 30 ივლისს ლენინგრადში, „საიფბილეო“ სპორტის სასახლეში ზედიზედ ხუთჯერ მოიხსნა მსოფლიო რეკორდი. ყველაზე საგულისხმო კი ის არის, რომ ხუთივე ეპიზოდს ერთი მთავარი გმირი ჰყავდა, — სომეხი ძალოსანი იურიკ ვარდანიანი. 82 კგ-მდე წონის ამ ათლეტმა, რომელსაც თავისი აღნაგობით გოლიათს ვერც უწოდებ (იგი ტანმოვარჯიშეს უფრო ჰგავს), საათ-ნახევრის მანძილზე 175 კგ აიტაცა, შემდეგ თანამიმდევრულად 213 და 215 კგ აკრა, ხოლო ორჭიდის ჯამში ჯერ 387,5 კგ აჩვენა, შემდეგ კი 390 კგ. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მომდინარე სპარტაკიადაში ასე არც ერთ სპორტსმენს არ გაუელვებია. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კორესპონდენტთან საუბარში გამარჯვებულმა აღნიშნა, რომ ამ წონითს კატეგორიაში ორჭიდში წლეულსვე იქნება დაძლეული 400-კილოგრამიანი ზღვარი, რადგან ვარჯიშზე არაერთხელ აუკრავს 225 კგ-იანი შტანგა.

ტალინში დამთავრდა აფროსნანთა სასპარტაკიადო რეგატა. საქართველოს ეკიპაჟებიდან ყველაზე უკეთ გამოვიდნენ „სოლნეგნის“ კლასის იახტით მოასპარეზენი (მესაჭე ანატოლი ავეტკოვი), რომლებმაც მეხუთე ადგილი დაიკავეს.

საქართველოს ხელბურთელ ქალთა გუნდმა დასკვნითს შეხვედრაში დაამარცხა მოსკოვის ნაკრები — 17:16 და მეცხრე ადგილი დაიკავა სპარტაკიადაში. ერთი საფეხურით უკან არიან საბოლოოდ ჩვენი ბალახის ჰოკეისტები — მე-10. ამ სახეობის სპორტში უძლიერესი იყო ყაზახეთის გუნდი.

**დღეს** სპარტაკიადის მსვლელობის გასაშუქებლად შეკრებილი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების ყურადღება მიიპყრეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტულმა დელეგაციებმა. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მთავარ პრესცენტრში, რომელსაც საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გერბები ამშვენებდა, ჟურნალისტები შეხვდნენ ამ რესპუბლიკების სპორტული დელეგაციების ხელმძღვანელებს, ცნობილ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს. გამოფენაზე წარმოდგენილმა ფოტოსტენდებმა და დოკუმენტებმა მნახველს ნათელი შთაბეჭდილება შეუქმნეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სპორტის განვითარების გზებსა და პერსპექტივებზე.

ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი სპორტსმენების წარმატებებზე ჟურნალისტებს ესაუბრნენ ამ რესპუბლიკების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეები დ. პერტენავა, გ. რზაევი და რ. ასატრიანი. კორესპონდენტთა შეკითხვებზე უპასუხეს ვეტერანმა სპორტსმენებმა მ. ჯუღელმა, ი. ნოვიკოვმა და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსმა კ. ასათიანმა.

## ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ!

**ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ.** საქართველოს ვაუთა ნაკრები მე-5-6 ადგილებისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვდა რუმინეთის ძლიერ ნაკრებს. ქართველმა ხელბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 27:29. ამრიგად, ჩვენი ხელბურთელები მეექვსე ადგილით დაკმაყოფილდნენ, თუმცა საქართველოს სპორტულ დელეგაციას მე-5 ადგილისათვის განკუთვნილი ქულები შესძინეს.

ვაუთა გუნდებს შორის სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ მოსკოველი ხელბურთელები, რომლებმაც ფინალური მატჩი მოუგეს უკრაინელებს — 30:27. ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის სპარტაკიადის ოქროს მედლები მოიპოვეს უკრაინელებმა.

**ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲜᲚᲝᲑᲐ.** კრილატსკოეს სასროლეთზე დაიწყო მშვილდოსანთა ასპარეზობა. პირველი დღის შემდეგ ქალთა შორის დაწინაურდა ზ. რუსტამოვა (ტაჯიკეთი), რომელმაც 720 შესაძლებლიდან 636 ქულა დააგროვა. სულ ერთი ქულით ჩამორჩება მას სახელოვანი ქართველი მშვილდოსანი ქეთევან ლოსაბერიძე. მესამე შედეგი აქვს ტ. კუზნეცოვას (აზერბაიჯანი) — 632, მეოთხე — ო. როგოვას (უზბეკეთი) — 629, მეხუთე — ნ. ბუტუზოვას (უზბეკეთი) — 628, მეექვსე — ლ. შიკოტას (რსფსრ) — 618.





**Სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: სპარტაკიადის ჩემპიონი ძიუდოისტი რ. ხარშილაძე (მარჯვნივ) ილეთს უტარებს ა. ვასილიონოკს; სპარტაკიადის ჩემპიონი მრგვალ სტენდზე სროლაში თ. მატოიანი; სსრ კავშირის ნაკრების ველოსიპედისტები ვ. ოსოკინი, ვ. პეტრაკოვი, ვ. ერლიხი და პ. ჩივარდოვი სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ გამოდევნებით გუნდურ რბოლაში.**

საკდეს-საინფორმციო ტელეფოტო.

## ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲙᲘ

ᲫᲘᲣᲓᲝ

95 კგ-ს ზევით

1. ს. ნოვიკოვი (მოსკოვი), 2. ე. ეფრემოვი (ლენინგრადი), 3. ვლ. სობოდარევი (უზბეკეთი) და ა. ტიურინი (ყაზახეთი). ჯ. ნიეარაძე 8 საუკეთესოს მიღმა დარჩა.

95 კგ.

1. რ. ხარშილაძე (საქართველო), 2. რ. ვან-დერვალი (ბელგია), 3. ე. დამადაევი (მოლდავეთი) და რ. ვაშონი (საფრანგეთი).

## ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲘ

**ᲫᲕᲔᲚᲘ** წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასასრულს რომის სენატის გადაწყვეტილებით სახელი შეეცვალა ძველი კალენდრის მეექვსე თვეს — სექსტილისს და რომის იმპერატორის ოქტავიანე ავგუსტუსის პატივსაცემად ავგუსტუსი უწოდეს. თვით ეს სიტყვა „დიდებულს“ ნიშნავს.

საფრანგეთის რევოლუციური კალენდრით გვგიხატოს თერმიდორის თვე (სიცხის თვე) ეწოდებოდა, ძველი ქართული წარმართული კალენდრით კი მისი სახელი იყო თვეი არდადეგისაი.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით სიტყვა „არდი“ ურარტულ წარწერებში ნიშნავდა მზეს, მზის ღვთაებას. არდი მზეს აღნიშნავდა ძველ ქართულშიც. ტერმინი არდადეგი ნიშნავს „მზე-დგმა“, ე. ი. „მზის დგომას“.

არდადეგი „კანიკულების“ მნიშვნელობით იხმარებოდა იმ დროის აღსანიშნავად, როდესაც სირიუსი მზესთან ამოდიოდა და ჩადიოდა. რომაელები ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს სირიუსს — „კანიკულას“ (გოშია, ფინია) უწოდებდნენ, ხოლო ზაფხულის ყველაზე ცხელ დღეებს, როდესაც სირიუსი პირველად გამოჩნდებოდა ცაზე — „კანიკულარულ დღეებს. აქედან არის რუსულში ცნობილი სიტყვა „კანიკული“, რაც არდადეგებს ნიშნავს.

არდადეგის თვე იწყებოდა 23 ივლისიდან და მთავრდებოდა 22 აგვისტოს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „არდადეგი არს რა მკათათვეში მზე ლომზე შეეალს ვიდრე მის გამოცვლამდე და სხვისა შესვლამდე ოცდაათი დღენი“ (ლომი მკათათვის (ივლისი) ზოდიაქოს ნიშანი იყო).

არდადეგი ნახსენები აქვს ქართველ დიპლომატსა და მწერალს გ. ავალიშვილს „მგზავრობაში“, რომელშიც წერს: ქ. როშეტში (ეგვიპტე) სიცხე იყო „თუ ითქმის არდადეგისაო“.

არდადეგის ხალხური სინონიმი იყო მარიამობის თვე.

**Ლ. ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ.**

## ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ

**ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲣᲠᲘ** მონაცემებით, აგვისტო ივლისთან შედარებით დასავლეთ საქართველოში 0,1 გრადუსით თბილია, აღმოსავლეთ საქართველოში კი 0,1-0,2 გრადუსით, ზოგან კი პირიქით 0,1-0,5 გრადუსით გრილი.

როგორ ამინდს მოველით საქართველოში მომდინარე წლის აგვისტოში? ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა ნორმასთან ახლოს იქნება.

**დასავლეთ საქართველოს** სანაპირო რაიონებში ტემპერატურა იქნება ღამით 14-19, დღისით 23-28 გრადუსი, ცალკეულ დღეებში ღამით — 20-23, დღისით — 29-31 გრადუსი.

ატმოსფერული ნალექების თვიური ჯამი ჩრდილოეთ სანაპირო რაიონებში იქნება 25-60 მმ (ნორმაზე ნაკლები), სამხრეთ სანაპირო რაიონებში — 120-230 მმ (ნორმასთან ახლოს).

დასავლეთ საქართველოს შიდა დაბლობ რაიონებში ტემპერატურა ღამით 13-18, დღისით 26-31 გრადუსი იქნება, ცალკეულ დღეებში კი ღამით — 19-23, დღისით — 32-36 გრადუსამდე. შედარებით ხშირი წვიმები მოსალოდნელია თვის პირველ ნახევარში და მესამე დეკადის შუა ხანებში.

მთის რაიონებში ტემპერატურა ღამით 11-16, დღისით 22-27 გრადუსი იქნება, ცალკეულ დღეებში შესაბამისად — 17-20 და 28-32 გრადუსი. მაღალმთიან რაიონებში — ღამით 9-14, დღისით 20-25 გრადუსი.

**აღმოსავლეთ საქართველოში** (ქართლის ვაკე) დასავლეთ რაიონებში ტემპერატურა ღამით — 15-20, დღისით — 28-33 გრადუსი, აღმოსავლეთ რაიონებში — ღამით 19-24, დღისით — 30-35 გრადუსი იქნება. თვის ცალკეულ დღეებში ტემპერატურა დაიწევს 5-7 გრადუსით. ნალექების თვიური ჯამი: 25-30 მმ, ზოგან 25 მმ-ზე ნაკლები, რაც ძირითადად ნორმაზე ნაკლებია. ელჭექის ხასიათის წვიმა მოსალოდნელია უმეტესად მეორე დეკადის პირველ ნახევარში.

კახეთში მოსალოდნელია ტემპერატურა ღამით 18-23, დღისით 31-36 გრადუსი, მაგრამ თვის ცალკეულ დღეებში იგი დაიწევს ღამით 11-16, დღისით 23-28 გრადუსამდე. წვიმას და ელჭექს მოველით უმეტესად პირველი დეკადის დასაწყისში და მეორე დეკადის პირველ ნახევარში.

მთის რაიონებში ტემპერატურა იქნება ღამით 9-14, დღისით 19-24 გრადუსი, მაღალმთიან რაიონებში — ღამით 4-9, დღისით 15-20 გრადუსი. თვის ცალკეულ დღეებში ტემპერატურა მოიმატებს 6-8 გრადუსით. ხშირი წვიმები და ელჭექი მოსალოდნელია უმეტესად მეორე დეკადის პირველ ნახევარში.

**Თ. ᲒᲝᲒᲘᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲑᲘᲝᲠᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ.**

## „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“ №7

**ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲓᲐ** საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნების“ მე-7 ნომერი, რომელიც იხსნება მოწნიანვე წერილით „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა — ახალ სამაღლეზე“.

ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილი მასალები ძირითადად ეძღვნება ქართული თეატრისა და დრამატურგიის, კინოხელოვნების, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, არქიტექტურის მნიშვნელოვან სადღეისო საკითხებს.

**ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ**
**Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

## ᲡᲐᲓ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

**1. ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:** მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე.

**2. აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში:** მეხილეობა-მებოსტნეობის სუბტროპიკული განხრით (ქართული სექტორი), საბუღალტრო აღრიცხვა — (რუსული სექტორი) — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვა (ქართული სექტორი), სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები), მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით (რუსული სექტორი) — საშუალო სკოლის ბაზაზე.

**3. ახალციხის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში:** სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული), საბუღალტრო აღრიცხვა (ქართული), მეხილეობა-მებოსტნეობა (ქართული) — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (სომხური სექტორი), საბუღალტრო აღრიცხვა (ქართული და სომხური სექტორები) — საშუალო სკოლის ბაზაზე.

**4. ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:** მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, საბუღალტრო აღრიცხვა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების საქონელმცოდნეობა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე.

**5. ბაკურციხის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში:** დღის სწავლებაზე: მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები), მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით (რუსული სექტორი) — საშუალო სკოლის ბაზაზე.

**6. გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:** აგრონომია, არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; აგრონომია, საბუღალტრო აღრიცხვა, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე.

**7. გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:** მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

**8. გორის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში:** ხილბოსტნეულის შენახვა-გადამუშავება, ფქვილ-ბურღულის წარმოების ტექნოლოგია, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; კომბინირებული საკვების წარმოების ტექნოლოგია, მეხილეობა-მებოსტნეობა, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე.

**9. დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:** ხილბოსტნეულის შენახვა-გადამუშავება, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; სპეციალური განყოფილება (აგრონომ-ორგანიზატორი), ხილბოსტეულის დაკონსერვების ტექნოლოგია, გამოწვანება, მეხილეობა-მებოსტნეობა, საბუღალტრო აღრიცხვა, საქმის წარმოების ორგანიზაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე.

**10. ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:** მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

**11. ზუგდიდის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში:** მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე;

**12. თელავის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმში:** სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია; მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე;

**13. კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში:** ზოოტექნია, ვეტერინარია, მეფრინველეობა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; ზოოტექნია, ვეტერინარია, მეფრინველეობა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

**14. ლაითურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში:** სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე;

**15. თელეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმში:** მიწათმოწყობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; მიწათმოწყობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე;

**16. ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:** სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

**17. ცხინვალის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში:** ვეტერინარია (ქართული სექტორი), საბუღალტრო აღრიცხვა (რუსული სექტორი) — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; აგრონომია (რუსული და ქართული სექტორები), ზოოტექნია (ქართული სექტორი) — საშუალო სკოლის ბაზაზე;

**18. წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:** ვეტერინარია, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; მეხილეობა-მებოსტნეობა, მცენარეთა დაცვა, ზოოტექნია, ვეტერინარია, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

**19. წნორის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში:** ზოოტექნია, ვეტერინარია, მეფრინველეობა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; ზოოტექნია, ვეტერინარია, მეფრინველეობა — საშუალო სკოლის ბაზაზე.

**20. წულუკიძის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმში:** სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე.

### ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ:

I. ტექნიკუმებში დღის განყოფილებებზე მიიღებიან ორივე სქესის 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე — განუსაზღვრელად ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული ან სრული საშუალო სკოლა ან მათთან გათანაბრებული სასწავლებლები და წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს.

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპეციალურ განყოფილებაზე, რომელიც ამზადებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების საშალო რგოლის ხელმძღვანელებს, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მივლინებით მიღებიან განყოფილებების, ფერმებისა და უბნების მმართველები, საწარმოო ბრიგადების ბრიგადირები და მათი თანაშემწენი, კოლმეურნეობების ფერმების გამგეები, მექანიზებული რაზმების უფროსები, მერგოლურები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საშუალო განათლების მქონე კვალიფიციური მუშები მექანიზატორთა, მეცხოველეთა და მემცენარეთაგან არა უმეტეს 35 წლის ასაკისა, რომლებსაც აქვთ არა ნაკლებ 3 წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

II. **ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ:** განცხადება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე; განათლების მოწმობა (დედანი) საშუალო, რვაწლიანი სკოლის ან მასთან გათანაბრებული სასწავლებლის დამთავრების, ან მე-9, მე-10 კლასში გადასვლის შესახებ; ავტობიოგრაფია, სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ოთხი ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ), ამონაწერი შრომის (კოლმეურნის) წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ხელმძღვანელის მიერ (იმ პირთათვის, ვისაც 2 წლ